ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 24 ივნისი, 2016 №148 (7074) ფასი: 50 თეთრი

## ქართველი ექსპერტები ისლამური სახელმწიფოს გააქტიურებას ელიან



გვ.4

24 ივნისიდან გიორგი ლეონიძე ნატვრის ხე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# მოწამლეს თუ არა თამაზ მექიაური

## „ვილნიუსში სიკვდილს გადავურჩი“



გვ.2

## „ივანიშვილს „ქართული ოცნების“ გამარჯვების იმედი არ აქვს“



გვ.4

ნიკა მელია: „არცერთ ხელისუფლებას ძალადობა არ შერჩენია, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას“



## 40.000.000 ევროდ ნაყიდი მატარებელი არცერთ გვირაბში არ ეტევა



გვ.3

საქართველოს რკინიგზა გიორგი ვაშაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

## ნანა კაკაბაძე: „დარწმუნებული ვარ, ეროსი კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა“



„ეროსის მკვლელობა ნაციონალების ინტერესებში უფრო შედიოდა, ვიდრე ამ ხელისუფლების“



გვ.3



გვ.2

## სალომე სამადაშვილი: „45 ევროპარლამენტარი საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს“



## დავით მაღრაძე თელავის მაჟორიტარად აპირებს კენჭისყრას



გვ.2

ISSN 1987-9385

## სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის სქემა გამოავლინა

გვ.4

ე.წ. კანონიერი ქურდი: „მოვისმინე გია ლორთქიფანიძის საუბარი, რომ საქართველოში არჩევნებამდე ასეთი საბოტაჟების მოწყობას გეგმავენ“



გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით მაღრაძე თელავის მაჟორიტარად აპირებს კენჭისყრას

შორენა მარსაგიშვილი

პარტიებმა უკვე დაიწყეს მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური ნაციონალური მოძრაობაა. მათ უმეტეს ოლქებში უკვე წარადგინეს მაჟორიტარები. სახელისუფლებო გუნდი ამ მხრივ ნამდვილად მოიკოჭლებს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი კანდიდატებზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ თელავში კენჭს პოეტი დავით მაღრაძე იყრის, ახმეტაში კი თელავის მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატი – გელა სამხარაული. ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ ადგილობრივ ორგანიზაციებში დაუდასტურეს.

თავიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თელავის მაჟორიტარად ირაკლი სესიაშვილი აპირებდა კენჭისყრას, ახმეტაში საბრძოლველად კი ისევ ზურაბ ზვიადაური აპირებდა ძალების მოსინჯვას.

როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, სესიაშვილის კანდიდატურა თავდაცვის მინისტრის პოსტზე განიხილება, ზვიადაური კი ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობას უმიზნებს.

თელავის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატად გიორგი ბოტკოველი უკვე წარადგინა ნაციონალურმა მოძრაობამ.

პაატა ბურჭულაძის პარტიიდან თელავში კენჭს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვანო გალახვარიძე იყრის, რესპუბლიკური პარტიიდან თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ავთანდილ ღელაღუტაშვილი; საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიციიდან“ თელავში მაჟორიტარობის კანდიდატი, სავარაუდოდ, მირიან ყარაულაშვილი იქნება. „ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩიდან“ თელავში კენჭს მწერალი ვახტანგ მოსიაშვილი, იგივე ტორესა მოსი იყრის. არსებული ინფორმაციით, ბურჯანაძე – დემოკრატებიდან თელავის მაჟორიტარად გიორგი სუხოშვილის კანდიდატურა განიხილება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ახმეტის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნებიდან“, გელა სამხარაულის გარდა, განიხილებოდა რეზო კახნიაურის, მამუკა ხოლეგაშვილის, პავლე ცაძიკიძის, ნიკოლოზ ალავიძის კანდიდატურები.

ნაციონალური მოძრაობიდან ახმეტაში კენჭს შაქრო ტერტერაშვილი იყრის. თავიდან ყოფილი ხელისუფლება აქ პეტრე ცისკარიშვილის კანდიდატურის დასახელებას აპირებდა. გადამწყვეტ მომენტში გადაიფიქრეს და ცისკარიშვილი საბურთალოზე იყრის კენჭს.

რესპუბლიკური პარტიიდან ახმეტაში მაჟორიტარად ლუიზა მუთოშვილის კანდიდატურა განიხილება, პაატა ბურჭულაძის პარტიიდან – ზურაბ ქიბროწაშვილის, „თავისუფალი დემოკრატებიდან“ – ოთარ კვირიკაშვილის.

საგარეჯოში ნაციონალებმა ზურაბ ჭიაბერაშვილის კანდიდატურა წარადგინეს. ამ რაიონში აპირებს ძალების მოსინჯვას პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი. დაუდასტურებელი ინფორმაციით, აქ შესაძლოა რესპუბლიკელებმა გიგლა აგულაშვილის კანდიდატურა წარადგინონ, რომელსაც ამ მომენტისთვის გარემოს დაცვის მინისტრის პოსტი უკავია.

„ქართული ოცნებიდან“ საგარეჯოში ქონების მართვის ყოფილი მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის კანდიდატურა განიხილება. ამ უკანასკნელს საგარეჯოში საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული აქვს.



ყოფილმა ხელისუფლებამ გურჯაანში ოფიციალურად წარადგინა გიორგი ღვინიაშვილის კანდიდატურა. მან მაჟორიტარული არჩევნები 2012 წელსაც მოიგო. იმ არჩევნებზე მისი კონკურენტი მანანა ბერიკაშვილი იყო.

წინა არჩევნები გურჯაანში ტრაგიკულად წარიმართა. არჩევნების წინა ღამეს რაფალიანცების ოჯახში დატრიალებული ტრაგედია დღემდე გამოუძიებელია. როგორც ამბობენ, ბერიკაშვილმა უარი განაცხადა, ხელახლა ცადოს ბედი მაჟორიტარობაზე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, „ქართული ოცნებიდან“ გურჯაანის მაჟორიტარად რამდენიმე კანდიდატურა განიხილება: დავით სონღულაშვილი – კახეთის ყოფილი გუბერნატორის ბიძინა სონღულაშვილის შვილი. ბიძინა სონღულაშვილი კახეთის გუბერნატორად ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში მუშაობდა, მანამდე გურჯაანის რაიონის გამგებელი იყო. სონღულაშვილების საკუთრებაშია დიდი რაოდენობით მიწის ნაკვეთები, სამრეწველო ბაზრები, სამშენებლო კომპანია, სასტუმრო „რეზი გურჯაანი“ და ა.შ.

თავისუფალი დემოკრატებიდან გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატად გურჯაანის გამგებლის ყოფილი მოადგილის როინ ქოჩორაშვილის კანდიდატურა განიხილება.

პარტიიდან „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ გურჯაანში კენჭი შესაძლოა გიორგი ხაზიურმა იყაროს, რომელიც პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია. არჩევნებისთვის, გიორგი ხაზიური კახეთში ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ამჟამად ღვინის ბიზნესშია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში, რომელიც ყვარლის რაიონის სოფლების ნაწილსაც მოიცავს, „ქართული ოცნება“ კახა კალაძესთან დაახლოებული პირის, მოქმედი გამგებლის კახა (კარლო) ჯამბურიას კანდიდატურას განიხილავს.

ლაგოდეხში ასევე განიხილება შემდეგი კანდიდატურები: ჯუმბერ გოლეთიანი – წინა მოწვევის საკრებულოს დეპუტატი, ბიზნესმენი; ზურაბ გამეზარდაშვილი – შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი; ჯონდო მდივნიშვილი – ლიბერთი ბანკის რეგიონული ფილიალის მმართველი და დავით კაპანაძე – კონტროლის პალატის თანამშრომელი, ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი გოზალიშვილის სიძე.

ნაციონალური მოძრაობიდან ყოფილი მაჟორიტარის გურამ კაკალაშვილის კანდიდატურა განიხილება, პაატა ბურჭულაძის პარტიიდან – გია კუბლაშვილის; ნინო ბურჯანაძის პარტიიდან – ისაკო ცქიფურიშვილის, რომელიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც მონაწილეობდა და ლაგოდეხში იყრიდა კენჭს გამგებლის თანამდებობაზე. ცქიფურიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 32.8% მიიღო და არჩევნების გაყალბების მოტივით მეორე ტურის დანიშვნას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ლაგოდეხში თავისუფალი დემოკრატებიდან იყრის კენჭს ვახტანგ მჭედლიძე, ამავე პარტიის ლაგოდეხის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ტელეწამყვან გვანცა დარასელიას მეუღლე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნება“ სიღნაღის პოლიციის ყოფილი უფროსის ჯონი ჯოხარიძის, სიღნაღის მოქმედი მაჟორიტარის გელა გელაშვილისა და წნორის კლინიკის ექიმი – გინეკოლოგ ალიკა ჭაბაშვილის კანდიდატურებს განიხილავს.

ნაციონალური მოძრაობიდან სიღნაღსა და დედოფლისწყაროში კენჭს პარლამენტის წევრი, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი იყრის. ბეჟაშვილი სიღნაღის მაჟორიტარად კენჭს 2012 წლის არჩევნებშიც იყრიდა.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართულ ოცნებაში“ მაჟორიტარებზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ. ცოტა ხნის წინ დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ განაცხადა, რომ ტყიბულში „ოცნება“ მის კანდიდატურას წარადგენდა. პარტიაში კი ამაზე სხვა ვერსია აქვთ. ამბობენ, რომ ამ ოლქში მათი რჩეული შესაძლოა განათლების მინისტრის მრჩეველი ოთო აბესაძე იყოს. ამავე ოლქში მოაზრება ადვოკატი მამუკა მდინარაძეც, რომელიც, თავის მხრივ, კახა კალაძისა და ირაკლი კობახიძის პროტეჟეა.

საჩხერის რაიონში ნაციონალებმა უკვე წარადგინეს ზურაბ ცერცვაძის კანდიდატურა. „ქართულმა ოცნებამ“ ამ ოლქში შესაძლოა ისევ მანანა კობახიძე გადაისროლოს.

გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნება“ თბილისში მაჟორიტარებად საკრებულოს დეპუტატებს წარადგენს. საკრებულოს დეპუტატებიდან პარლამენტში გადასვლას ალეკო ელისაშვილიც შეეცდება.

# მოწამლეს თუ არა თამაზ მეჭიაური

## „ვილნიუსში სიკვდილს გადავურჩი“

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატი თამაზ მეჭიაური, რომელმაც სულ ახლახან საკუთარი პარტია შექმნა, სიკვდილს გადაურჩა. გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატი მოწამლეს. მეჭიაური მოწამვლის თეორიას არ იზიარებს, თუმცა აღიარებს, რომ გადარჩენილია.

მისი მოწამვლის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტმა გელა ზედელაშვილმა გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, 14 ივნისს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრები ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრნენ ლიტვაში. ისინი დაბინავდნენ ვილნიუსის ერთ-ერთ სასტუმროში, იმავე დღეს გამართეს შეხვედრები სხვადასხვა დონეზე.

15 ივნისს, შუადღისას, როცა თამაზ მეჭიაური გამოსვლას აპირებდა სასტუმროდან, გონება დაებინდა და იატაკზე დაეცა სახით.



როგორც ზედელაშვილის ინკოგნიტო წყარო ამბობს, ამ მდგომარეობაში ნახა კომიტეტის აპარატის უფროსმა და გამოიძახა სასწრაფო დახმარება. ექიმების დახმარების შემდეგ თამაზ მეჭიაური გონს მოვიდა. ისინი ითხოვდნენ მის სასწრაფოდ კლინიკაში გადაყვანას, თუმცა დეპუტატმა ამაზე უარი განაცხადა, მკურნალობა განაგრძო სასტუმროს ნომერში, შემდეგ კი გადმოფრინდა თბილისში.

იმავე წყაროს ცნობით, თამაზ მეჭიაურს სახესა და გულ-მკერდის არეში აღენიშნება დაჟეჟილობები. ის, სავარაუდოდ, მოწამლეს!

ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩვენ თამაზ მეჭიაურს დავუკავშირდით.

– ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ უამრავმა ადამიანმა დამირეკა. ყველას დიდი მადლობა მოკითხვისთვის. არ მეგონა, თუ ამდენ ხალხს ვუყვარდი. მათ გასახარად მინდა ვთქვა, რომ ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. სახეზე კიდევ მეტყობა სილურჯეები, მაგრამ ეს გაივლის, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მეჭიაურმა.

თამაზ მეჭიაური მოწამვლის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს, თუმცა დღემდე არ იცის, რა დაემართა.

– შეთქმულების თეორიებს არ ვიზიარებ და არ ვამტკიცებ, რომ მომწამლეს. ისე კი მართლა გადარჩენილი ვარ. ახლაც არ ვიცი, რა მომივიდა, რატომ დავკარგე გონება. სასწრაფო რომ მოვიდა, წნევა გამიზომეს და ძალიან მაღალი წნევა მქონდა. შესაძლოა, ამის გამო წავიქეცი, – ამბობს დეპუტატი.

მასთან ერთად ოფიციალურ ვიზიტში სხვა დეპუტატებიც იმყოფებოდნენ. მათ შორის იყვნენ პაატა ბარათაშვილი და ზურაბ მელიქიშვილი.

ზურაბ მელიქიშვილი ნაციონალების წევრია და მავანმა მასზე მიიტანა ეჭვი, მეჭიაურს კი ასეთი რამე გულშიც არ გაუვლია.

– ზურაც და პაატაც ნატოს ფანები არიან. მე, მოგეხსენებათ, ნატო არ მიყვარს, მაგრამ ამის გამო არ მომწამლავდნენ, თან ყველანი ჩემს კონიაკს ვსვამდით და მე უფრო შემეძლო მათი მოწამვლა, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მეჭიაურმა.

# სალომე სამადაშვილი:

## „45 ევროპარლამენტარი საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს“



45 ევროპარლამენტარი საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს, იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებით და მოიქცეს ისე, როგორც სხვა პრეცედენტების დროს, როცა ევროპულმა სასამართლომ პირის პატიმრობასთან დაკავშირებით მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა – აღნიშნულის თაობაზე გუშინ გამართულ ბრიფინგზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა სალომე სამადაშვილმა ისაუბრა.

**სალომე სამადაშვილი:**

– საქართველო შედის ძალიან მნიშვნელოვან წინასაარჩევნო პერიოდში, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის დაკვირვების საგანი. გუშინ სწორედ ამ კონტექსტში გაკეთდა ძალიან მნიშვნელოვანი დეკლარაცია, რომელსაც 45 ევროპელმა პოლიტიკოსმა ხელი მოაწერა. მათ საქართველოს პრეზიდენტს მიმართეს, იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებით და მოიქცეს ისე, როგორც სხვა პრეცედენტების დროს, როცა ევროპულმა სასამართლომ პირის პატიმრობასთან დაკავშირებით მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა. მხედველობაში მაქვს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ივანე მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით.

ალსანიშნავია, რომ ხელმომწერი პოლიტიკოსები სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ და ფაქტობრივად მთელ ევროპულ პოლიტიკურ სპექტრს ფარავენ.

იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება და პრეზიდენტი ყურადღებით მოეკიდებიან ამ გზავნილს, რადგან, ჩვენ ვიცით, რომ ევროპის საბჭო ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციაა, რომელიც ადგენს თუ როგორ სრულდება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სტანდარტები, – განაცხადა სამადაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# 40.000.000 ევროდ ნაყიდი მატარებელი არცერთ გვირაბში არ ეტევა

## საქართველოს რკინიგზა გიორგი ვაშაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ცოტა ხნის წინ საქართველოს რკინიგზამ ერს სასიხარულო ამბავი აუწყა. მათ 40 მილიონ ევროდ ორსართულიანი მატარებელი შეიძინეს და გვითხრეს, ზაფხულში უპრობლემოდ გაემგზავრებით აჭარისკენო.

მოგეხსენებათ, რომ წუთისოფელი ხანგრძლივად არავის ახარებს და ერს ორსართულიანი მატარებლის შეძენით გამოწვეული სიხარულიც გაუფერმკრთალეს.

სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გივი კუბლაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც გვაუწყა, რომ საქართველოს რკინიგზის მიერ 40 მილიონ ევროდ შეძენილ „შტადლერი“ არცერთ გვირაბში არ ეტევა.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „საქართველოს რკინიგზამ“, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და ავანსის თანხა გადარიცხა, დაიწყო იმის კვლევა, თუ რამდენად შეძლებდა მატარებელი წიფის გვირაბში გავლას, ამისათვის აიგო სპეციალური მაკეტი და დადგინდა შემდეგი: როგორც რკინიგზელებთან კონსულტაციით გაირკვა, გვირაბში გავლას ერთდროულად ორი მატარებელი ვერ შეძლებს და გვირაბის მონაკვეთზე მაქსიმალური სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 40 კმ/საათს, – აღნიშნა გივი კუბლაშვილმა.



მისი თქმით, აღნიშნული მატარებლისთვის დეპო არ არის მზად და საჭიროებს რეკონსტრუქციას.

გივი კუბლაშვილის განმარტებით, მიმდინარე წლის 9 ივნისს შ.პ.ს. „კანოსთან“ დაიდო ხელშეკრულება. რომლის თანახმადაც, ურეკის ვაგზალზე ბაქნის რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს.

– ეს რეკონსტრუქცია აუცილებელია იმისათვის, რათა მგზავრმა შეძლოს მატარებლიდან ჩამოსვლა, – ამბობს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

კუბლაშვილი ეჭვობს, რომ ეს მატარებელი ქართულმა მხარემ მხოლოდ იმიტომ შეიძინა, რომ რუსეთისთვის გაეწვდინა დახმარების ხელი.

– მთელი რიგი პრობლემებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ „საქართველოს რკინიგზამ“ აღნიშნული მატარებლების შეძენა მხოლოდ რუსეთის ფედერაციისთვის დახმარების გამო გადაწყვიტა, რადგან აღნიშნული მატარებლები დამზადებული იყო „დომოდედოვოს“ აეროპორტიდან მგზავრების მოსკოვის ცენტრამდე ტრანსპორტირებისთვის, რუსეთმა ველარ შეძლო საჭირო თანხის გადახდა და დამზადებული 8 მატარებლიდან 4 საქართველომ წამოიყვანა, ხოლო 4 აზერბაიჯანმა, – განაცხადა კუბლაშვილმა.

„ახალი საქართველოს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს რკინიგზაში.

საქართველოს რკინიგზის პრესსამსახურის უფროსი დაჩი ცაგურია კი „ახალი საქართველოსგან“ ბოდიშის მოხდას ითხოვს. ცაგურია დარწმუნებულია, რომ ეს ტყუილი პირადად გიორგი ვაშაძემ მოიფიქრა.

– ეს არის ვაშაძის მიერ გავრცელებული სისულელე, მისი პარტმუშაკების მიერ გავრცელებული ზღაპარი, რომელზეც მე მივმართავ ვაშაძეს, როდესაც ჩამოვა ეს მატარებელი საქართველოში და გვირაბს გაივლის ყოველგვარი შეფერხების გარეშე, საზოგადოებასა და მედიას მოუხადოს ბოდიში და პირადად ვაშაძემ აიღოს პასუხისმგებლობა იმ სისულელეებზე, რომლებიც მათ გაავრცელეს. რატომ უნდა ვიყიდოთ ისეთი მატარებელი, რომელიც გაბარიტში არ ზის და გვირაბებში ვერ ეტევა, ან რატომ უნდა აწარმოოს ასეთი მატარებელი „შტადლერმა“. საქართველოს რკინიგზაში, დაუშვათ, გაგიჟდნენ და ასეთ მატარებელს ყიდულობენ. „შტადლერშიც“ ასეთი არაკომპეტენტური ხალხია, რომელმაც შეიძლება ასეთი მატარებელი აწარმოოს, რომელიც გვირაბში არ გაეტევა? ეს ყოველგვარ სერიოზულობის ზღვარს სცდება და სიურეალისტურ სივრცეში გადადის. ეს არის სიცრუე და მოკლეფეხება ტყუილი. მივმართავ ვაშაძეს, ბოდიში მოიხადოს პირადად ამ ტყუილის გავრცელებისთვის, რომელიც მისმა პარტიის კომკავშირმა გაავრცელა, – განაცხადა დაჩი ცაგურიამ.

# ნანა კაკაბაძე: „დარწმუნებული ვარ, ეროსი კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა“

## „ეროსის მკვლელობა ნაციონალების ინტერესებში უფრო შედიოდა, ვიდრე ამ ხელისუფლების“

ნონა ცაბაძე

ეროსი კიწმარიშვილის საქმე აქტუალობას დღემდე არ კარგავს. პროკურატურამ ორი დღის წინ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ კიწმარიშვილმა თავი მოიკლა. ამ ვერსიის არ სჯერათ ეროსის ოჯახის წევრებს და ახალ გარემოებებზე საუბრობენ.

უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნულ საკითხს ეხმიანება და აცხადებს, რომ ის ეროსის კარგად იცნობდა და არ სჯერა იმ ვერსიის, რომ მან თავი მოიკლა.

***– ქალბატონო ნანა, პროკურატურამ დადო ოფიციალური ვერსია, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა და რომ ის თვითმკვლელობამდეც არავის მიუყვანია. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის შეფასებები? როგორც ცნობილია, თქვენ ეროსისთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გქონდათ. რა ინფორმაციები გაქვთ, რისი თქმა შეგიძლიათ?***

– ისეთი პიროვნებისგან, როგორიც ეროსი კიწმარიშვილი იყო, თავისი თვისებებიდან გამომდინარე, ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ ამ ადამიანმა თავი მოიკლა იმის გამო, რომ მას ვალი ჰქონდა, თუნდაც 300 ათასი იყო თუ 400 ათასი, რადგან მისი ქონება ბევრად აღემატებოდა იმ ვალს, რომელზეც დღეს არის საუბარი. გაუგებარია, თუ რაში დასჭირდა მას თავის მოკვლა.

***– იქნებ რაიმე სხვა მიზეზი იყო?***

– ყოველ შემთხვევაში, ეს სხვა მიზეზი არც პროკურატურას უთქვამს და არც საზოგადოებაში საუბრობს ვინმე ამ სხვა მიზეზზე, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა თვითმკვლელობის საწინააღმდეგო სერიოზული მტკიცებულებები, ოჯახი იქნება თუ ოჯახის მიერ ჩართული ექსპერტები და ადვოკატები, რაიმე არგუმენტი რომ ეჭიროთ ხელში, ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო მკვლელობა და არა თვითმკვლელობაო, ასეთი სერიოზული არგუმენტებიც არ ჩანს.

არის სერიოზული ვარაუდი, რომ ის თავს არ მოიკლავდა, რომელსაც მეც ვიზიარებ, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი მტკიცებულებებიც არ ჩანს. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის დროს ეს იყო ცალსახა საქმე, სადაც, როგორც არ უნდა ემტკიცებინა ხელისუფლებას, რომ ეს იყო რაღაცა უბედური შემთხვევა, კვალი იყო უამრავი, რომ ეს იყო მკვლელობა.

***– ოჯახის წევრები და ადვოკატები საუბრობენ იმაზეც, რომ თითქოსდა გვამს თავის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებაც აქვს...***

– ყოველ შემთხვევაში, მაია ნიკოლეიშვილი და ვინც იყო იმ ექსპერტიზაში ჩართული, ოჯახის ექსპერტებიც არანაირ კვალზე არ საუბრობენ. მაია ნიკოლეიშვილმა ისეთი ინტერვიუ მისცა, რომ, ფაქტობრივად, ის დაეთანხმა პროკურატურის ვერსიას. აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია ამტკიცო რაიმე. ეს რომ ასეთი ცალსახა იყოს, როგორც ჟვანიას საქმე იყო, მაშინ კი... დღეს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა, ვინც ლაპარაკობს კიწმარიშვილთან მიმართებით „ქართული ოცნებისა“ თუ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებზე, ამ დროს მე თვითონ ვიცი...

***– რა იცით?***

– ვიცი ეროსი კიწმარიშვილისგან, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობასთან და ის წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის დაუძინებელი მტერი იყო. ასე რომ, თუ ვინმესთან ის იყო დაპირისპირებული და თუ ვინმე მას მტრობდა, ეს იყო სწორედ ნაციონალური მოძრაობა!

***– ქალბატონო ნანა, სანამ შეკვეთილ მკვლელობაზე ვისაუბრებდეთ, თქვენ ადრე ჩვენი გაზეთის საშუალებით ამბობდით, რომ გქონდათ კონკრეტული ინფორმაცია, არსებობდა მოწმე, რომელმაც მკვლელობის პერიოდში იქ უცნობი პირი დაინახა. მიაწოდეთ ეს ინფორმაცია პროკურატურას და რა იყო შედეგი?***

– რასაკვირველია, მივაწოდე. იმ ადამიანთანაც მივიდნენ, ვინც მე ეს ინფორმაცია მომაწოდა და ისიც დაკითხეს. თუმცა ეს ინფორმაცია არ აღმოჩნდა ხელჩასაჭიდი, როგორც მითხრეს, მსგავსი 500 თუ 600 პირი ჰყავდათ დაკითხული. მოკლედ, ხელჩასაჭიდი არაფერი ჩანს ამ საქმეში. ასე რომ, ნაციონალების პიარი არაფერს არ ეფუძნება. ეროსი რომც იყოს მოკლული, ნაციონალების მხარეს მეტი კითხვის ნიშანია, ეს მათ ინტერესებში უფრო შედიოდა, ვიდრე ამ ხელისუფლების.

***– რატომ, ამის მტკიცების საფუძველს რა გაძლევთ?***

– იმიტომ, რომ თვითონ ეროსის ჰქონდა ძალიან სერიოზული დაპირისპირება ნაციონალებთან. ჯერ კიდევ ჩვენ რომ ლონდონში ვიყავით ერთად, მე და ეროსი, ის იყო საშინელ დაპირისპირებაში ნაციონალებთან.

***– კონკრეტულად თქვენთან აქვს რამე ნათქვამი ამ თემებზე?***

– რა თქმა უნდა. სულ ასე ამბობდა, ეშმაკსაც კი უნდა შეეკრა კაცი ამათ წინააღმდეგო. მე ისიც ვიცი, იქ რა შეხვედრები ჰქონდა, ნაციოანლების საწინააღმდეგო ქმედებებში იყო.

***– კონკრეტულად გეგმავდა რამეს? თქვენ თუ გაგანდოთ ამ გეგმების შესახებ? ნაციონალების წინააღმდეგ საბრძოლველად რაიმე ბერკეტები ჰქონდა?***

– ძალიან დიდი გეგმები ჰქონდა. ბოლო პერიოდში გეგმავდა, შეექმნა ახალი მედიაჰოლდინგი. მაესტროშიც რომ სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ის ამბობდა, რომ აუცილებლად უნდა შექმნილიყო რუსთავი 2-ის ალტერნატიული ტელევიზია. სულ ამაზე მესაუბრებოდა – ვინაიდან ეს უკვე მიშას საკუთრებაა, ამაზე ჭიდაობას აზრი არა აქვს, ახალი უნდა გავაკეთოო. ჟურნალისტებზეც მკითხა, ვისზეც მე მქონდა დადებითი წარმოდგენა და ვთავაზობდი, ის მეუბნებოდა: მართალია, ეს ჟურნალისტები კარგები არიან, მაგრამ მას უნდოდა ახალი სახეები, რომლებიც მასთან ურთიერთობით დაიწყებდნენ კარიერას. დაინტერესდა, რეგიონებში ვის ჰქონდა ტელევიზიები, ვის უკან ვინ იდგა... ეს ინფორმაციები მეც მივეცი და სერიოზული გეგმები ჰქონდა.



***– როდესაც მკვლელობის ვერსიაზე საუბრობენ, რატომ უნდა მოეკლათ? რამდენად სერიოზული ინფორმაციის მატარებელი იყო ეროსი? იმისთვის, რომ ახალი ტელევიზიის გაკეთება უნდოდა, ხომ არავინ მოკლავდა?***

– ბუნებრივია, სერიოზული ინფორმაციები ჰქონდა. ჯერ ერთი, ის მიშას დროს რუსეთში ელჩი იყო. თუნდაც ამ მიმართულებით ჰქონდა სერიოზული ინფორმაციები. როდესაც მის პროდასავლურობაზე იწყებოდა საუბარი, ეროსის ამაზე თავისი პოზიცია ჰქონდა.

***– არ სჯეროდა მისი?***

– აღარ არის ადამიანი ცოცხალი და, უბრალოდ, არ არის საჭირო იმაზე საუბარი, რასაც ველარ დავამტკიცებ... რა თქმა უნდა, ის იყო ძალიან სერიოზული ინფორმაციების მატარებელი. იმავე დვალთან და ამირიძესთან დაკავშირებულ პრობლემაზეც ლაპარაკობდა მაშინ. მიშას ადანაშაულებდა იმ პრობლემებში, რომლებიც მათთან დაკავშირებით ჰქონდა. კარგად მახსოვს, ერთხელ მასთან ვიყავი მისული და მთხოვა, ჩუმად გაგვევლო, აქ დვალი ცხოვრობსო, მეუბნებოდა. თურმე მეზობლები იყვნენ და ერიდებოდა მასთან შეხვედრას. მე ჩემი ურთიერთობებიდან რაც ვიცი, მთლიანად ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებდა. სწორედ ამიტომ გამოვნახეთ საერთო ენა. ერთად ვიყავით ჩართული საპროტესტო აქციებში.

***– რომელ აქციებს გულისხმობთ?***

– 2009 წლის აქციებს. ეროსი ლევანთან და ჩემთან ერთად აქტიურად იყო ჩართული პროცესებში და ერთად ვაკეთებდით ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ აქციებს. საინფორმაციო გაზეთი, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ, ეს ყველაფერი ეროსიმ დააფინანსა. ის იყო მთავარი მონაწილე. ჩვენს ოფისში ყოველდღიურად იყო შეკრებები მაშინ და ის სერიოზულ დაპირისპირებაში იყო ნაციონალებთან, არა მარტო იმ პერიოდში, ბოლომდე ასე იყო. მათ შორის ურთიერთობები არ დამთბარა. შეგიძლიათ ეს ჰკითხოთ გრეჩიხას, რომა კუსიანს. ჩვენ ყველაფერს ერთად ვგეგმავდით და ერთად ვაკეთებდით.

***– ეს განწყობა არც 2012 წლის მერე შეცვლილა?***

– ნამდვილად არ შეცვლილა. როდესაც არჩევნები ტარდებოდა რუსთავში, ეროსი ჩემთან მოვიდა და მითხრა, იქნებ როგორმე ბიძინასთან მიიტანო ამბავი, რომ მას იყენებენ და ვისაც ენდობა და თავისიანი ჰგონია, ისინი ნაციონალებთან თანამშრომლობენო.

***– თქვენ ზემოთ სუფთად შესრულებული შეკვეთილი მკვლელობა ახსენეთ. სხვათა შორის, ერთ-ერთ ქართულ გამოცემას ამერიკელმა ჟურნალისტმა მისცა ინტერვიუ, სადაც ის საუბრობს ეროსი კიწმარიშვილის შეკვეთილ მკვლელობაზე, რომ ეს ამერიკის ინტერესში შედიოდა. ამაზე რას იტყვით?***

– ამ ინტერვიუს შესახებ არაფერი ვიცოდი, თუმცა მე თვითონაც ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეროსი თუ ვინმემ მოიშორა, მოიშორებდნენ ისეთ პროფესიონალურ დონეზე, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა პროკურატურა მართლაც არაფერ შუაშია და მკვლელმა არანაირი კვალი არ დატოვა. მე რაც ვიცი ეროსისთან ბოლო შეხვედრებიდან, ის სწორედ პოლიტიკაში მოსასვლელად, ნაციონალების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, ასევე უნდა შეექმნა ახალი ჰოლდინგი. აბსოლუტურად წარმოუდგენელია ის, რასაც დღეს აცხადებენ, რომ მან მოუწოდა თავის მომხრეებს, ნაციონალებს მიეცით ხმაო. პირდაპირ ვაცხადებ – ეს არის წარმოუდგენელი! ის ნაციონალებმა გადააგდეს. ამის შესახებ ჩემთან ყველაფერს ყვებოდა.

***– მაინც რას ყვებოდა?***

– არ ვიცი, გარდაცვლილია და ეს რამდენად უნდა ვთქვა? მითხრა, მე ნაციონალებითვის არაფერი მომითხოვია, თავად შემომთავაზეს, ოღონდ ეს არჩევნები მოგვაგებინე, საუბარია 2003 წელზე, ასეთ რეჟიმში ამუშავე ტელევიზია და პრემიერმინისტრობას დამპირდნენო. შემდეგ კი ყველაფერი ისე გამოიყვანეს, თითქოს მე ვთხოულობდი და ეგენი არ მაძლევდნენო. დღეს ნაციონალების პოზიცია, რომ ისინი ასე გადაეფოფრნენ ეროსის, სუფთა პოლიტიკური მანევრია და კიდევ უფრო მეტ ეჭვს ბადებს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ივანიშვილს „ქართული ოცნების“ გამარჯვების იმედი არ აქვს“

## ნიკა მელია: „არცერთ ხელისუფლებას ძალადობა არ შერჩენია, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას“

ნათია ხურცილავა

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ნიკა მელია** პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის იმ განცხადებაზე საუბრობს, რომელიც ოპოზიციისთვის წინასაარჩევნო კამპანიის უზრუნველყოფას ეხება.

***– ბატონო ნიკა, პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციისთვის წინასაარჩევნო კამპანია უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდეს. ფიქრობთ, რომ შეიძლება კორცხელის ინციდენტი ერთგვარი გაკვეთილი იყოს პოლიტიკური ძალებისთვის?***

– სამწუხაროდ, ბატონო პრემიერი ნომინალური პრემიერია. მისი ფუნქციაა, ჟურნალისტებისა და ტელეკამერების წინ მსგავსი განცხადებები გააკეთოს. რეალური გადაწყვეტილებები მის მიერ არ მიიღება. ოპოზიციას წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად პირობები რომ უნდა შეექმნას და ნორმალური საარჩევნო გარემო უნდა იყოს, ამას თქმა არც უნდა, მაგრამ ამის ნიშანწყალი არ ჩანს, რაც ვიხილეთ კორცხელში. რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლება ამ ფაქტის შემდეგ? წარმოუდგენლად მსუბუქ ხარისხში დადგა ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი. მაგალითად, დეპუტატის პიჯაკის საყელოს შემოხევისთვის სამი ახალგაზრდა პატიმრობაში გაუშვეს, ზონდერები კი დღესაც იმუქრებიან იმის ნაცვლად, რომ პასუხისგებაში იყვნენ მიცემულები. ეს ხომ არის ორმაგი სტანდარტი?! იმის ნაცვლად, რომ საარჩევნო გარემო რეალურად გაუმჯობესებულიყო და საარჩევნო კოდექსი უკეთესი გამხდარიყო, ეს პროცესი მათ 2020 წლისთვის გადადეს. პრემიერის განცხადება ვერ მოდის იმასთან თანხვედრაში, რაც დღეს გვაქვს, თუნდაც სარეკლამო დროსთან დაკავშირებით. ეს ხომ რეალურად ყველა ოპოზიციურ პარტიას უარეს მდგომარეობაში აგდებს. ეს მაგალითები ბატონი კვირიკაშვილის განცხადების სრულიად საპირისპიროს ცხადყოფს.



***– კორცხელის ინციდენტს ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა საერთაშორისო წრეებში და შეიძლება ამან ხელისუფლებას მეტი სიფრთხილისკენ უბიძგოს. ასე არ ფიქრობთ?***

– ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც უნდა წააგოს ეს არჩევნები ხელისუფლებამ, არის კორცხელი. მომდევნო ხელისუფლებამ, რომელიც მოვა, უნდა იცოდეს, რომ არჩევნებში ძალადობას თუ მიმართავს, ის აუცილებლად დამარცხდება. ასე იყო შევარდნაძის ხელისუფლების დროს და ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც. ეს მაგალითი უნდა იყოს შემდეგი ხელისუფლებისთვის, რომ მან აზრადაც კი არ გაივლოს მსგავსი რამ. როდესაც ძალისმიერ მეთოდებს გამოიყენებ პოლიტიკურ პროცესში, ამით კი არ მოიგებ, პირიქით, წააგებ. აგებს ქვეყანაც და, რასაკვირველია, მოქმედი ხელისუფლებაც.

***– ნაციონალურმა მოძრაობამ ამიტომ წააგო? ქვების სროლის ისტორია რომ გავიხსენოთ...***

– არცერთ ხელისუფლებას მსგავსი ქმედების ჩადენა არ შერჩენია და არ შერჩება არც ივანიშვილის ხელისუფლებას, თუმცა ძალადობის იმ ხარისხს, რომელიც კორცხელში იყო, წინა წლებში ანალოგი არ ჰქონდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ძალადობრივი ქმედებები არ იყო არჩევნებში გამოყენებული.

***– ნაციონალური მოძრაობა რატომ არ აწერს ხელს დოკუმენტს, რომელიც პოლიტიკურ ძალებს საარჩევნო პროცესში ერთგვარ თამაშის წესებს უწესებს?***

– იცით, როგორი რაღაცაა, ჯერ დაგარბიონ, თავ-ყბა დაგინგრიონ და შემდეგ კარგად, ლამაზად დაწერილი დოკუმენტი შემოგთავაზონ და გითხრან, ხელი მოაწერე, ყველაფერი კარგად იქნებაო, იმის ნაცვლად, რომ სისხლის სამართლის საქმე რეალურად აღძრან და ადეკვატური სასჯელი მიუსაჯონ დამნაშავე პირებს. ეს რას ნიშნავს, ერთი ხელით გცემონ და მეორე ხელით ჩვენ ამ დოკუმენტს ხელი მოვაწეროთ.

***– ხელს არ მოაწერთ?***

– ჩვენი პასუხია, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალადობას ვგმობთ. რა თქმა უნდა, ყოველგვარ ძალადობას ვემიჯნებით, მაგრამ აქვე მივმართავთ ბატონ კვირიკაშვილს, სანამ მსგავსი ინიციატივით გამოვა, რეალური გამოძიება ჩატარდეს. ამ ფაქტში მონაწილე პირები სოციალურ მედიაში მუქარებით გამოირჩევიან. ამ ფონზე მსგავს ქარტიასა თუ ეთიკის კოდექსზე საუბარი, უბრალოდ, დაცინვაა. ამ დოკუმენტს ხელს აუცილებლად მოვაწერთ მას შემდეგ, რაც კანონის წინაშე დაისჯებიან ის ადამიანები, ვინც დანაშაული ჩაიდინეს.

***– წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია, თუ კორცხელის ინციდენტს არ ჩავთვლით, პროცესი მშვიდია. როგორი მოლოდინი გაქვთ, შეიძლება ასეც გაგრძელდეს თუ დაიძაბება?***

– ივანიშვილს არ აქვს იმედი, რომ „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებს და ფიქრობს, რომ წყალი აამღვრიოს. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენი მთავარი იარაღი არ არის არც კუნთი და არც ხელკეტი.

***– და რა არის?***

– კვალიფიკაცია, გამოცდილება, განახლებული ნაციონალური მოძრაობა და კონკრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის გამოყვანას ეკონომიკური კრიზისიდან.

***– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილს „ქართული ოცნების“ გამარჯვების იმედი არ აქვს, თუმცა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ 95 მანდატს მოიპოვებს მომავალ პარლამენტში.***

– ბატონი ივანიშვილის ამ განცხადებაზე, არ ვიცი, რა გითხრათ. 8 ოქტომბერს მას ამ ჭეშმარიტების დადგენის საშუალება მიეცემა. საღამოს 8 საათზე შეუძლია, ყურადღებით მოისმინოს ის შედეგი, რომელიც საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდება.

# ქართველი ექსპერტები ისლამური სახელმწიფოს გააქტიურებას ელიან

მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი ექსპერტები მედიასთან ინტერვიუებში ისლამური სახელმწიფოს გააქტიურებაზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ. საუბარია იმაზე, რომ ხალიფატის ახალი რაზმის ამოცანებში კავკასიაში ტერაქტების მოწყობაც შედის. ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისლამური სახელმწიფო საქართველოში რბილ ძალას აამოქმედებს. ეს იქნება რადიკალური ისლამის პროპაგანდა და ახალგაზრდების გადაბირება. მათ გეგმებში განათლებული ახალგაზრდობის მიზიდვა შედის.

ისლამური სახელმწიფო კავკასიაში დიდი ხანია მოქმედებს. ჩრდილოკავკასიელთა დიდი რაოდენობა წასულია ახლო აღმოსავლეთში. ეს მებრძოლები ძირითადად ხალიფატის რიგებში იბრძვიან. გარდა ამისა, ისლამური სახელმწიფოს მიმდევრები იბრძვიან კავკასიის ტერიტორიაზე. ისინი დავალებებს ახლო აღმოსავლეთიდან იღებენ და მხოლოდ მკვლელობებით არ იფარგლებიან.

ერთი დღის წინ დაღესტნის სასამართლომ 4 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა დაღესტნის მკვიდრ რასულ ჰუსეინოვს, რომელიც 2013 წელს იბრძოდა სირიის საბრძოლო მოქმედებებში. იგი მინსკში დააკავეს, რის შემდეგაც მოხდა მისი ექსტრადირება კავკასიაში.

ამავე რესპუბლიკის სასამართლომ 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა აბუალი ნასუხოვს. იგი კავკასიაში მოქმედ ორ ტერორისტულ-დივერსიულ დაჯგუფებას ეხმარებოდა იმით, რომ მათ საცხოვრებელ ფართს უთმობდა, კონსპირაციული შეხვედრების ორგანიზებაში ეხმარებოდა და სურსათით ამარაგებდა.



ორი დღის წინ ისლამისტებმა კიდევ ერთი საშუალო სკოლა გადაწვეს. შამილის რაიონის სოფელ ტელეტლის სკოლის გადაწვის ფაქტზე გამოძიება გრძელდება. 6 შეიარაღებულ დამნაშავეს ეძებენ. ამ ჯგუფმა, სანამ სკოლას ცეცხლს მოუკიდებდა, სკოლის დარაჯი დააბა. ოთხ მათგანს ნიღაბი ეკეთა.

ჩეჩნეთის მოქალაქე სულეიმან აიდამიროვს ათ წლამდე პატიმრობა იმის გამო ელის, რომ იგი მხილებულია ტერორიზმის დაფინანსებაში. როგორც გაირკვა, მან თავის ნაცნობს ფული მისცა სირიაში საბრძოლველად წასვლისათვის. გარდა ამისა, ტერორიზმის დამფინანსებელი საბრძოლო მასალების უკანონო შენახვაშიცაა ბრალდებული.

ჯიჰადისტებისათვის სიმპათიის გამოხატვა 35.000-იანი რუბლის ოდენობის ჯარიმად დაუჯდა დაღესტნელ ქალს-ეიზანათ ჰაჯიმურადოვას. მან სოციალურ ქსელში ტერორიზმი გაამართლა და, იმავდროულად, გააკრიტიკა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები.

ჩეჩენი შამილ ჯანარალიევის ახლობლები და ნაცნობები ახლაც ვერ გამოსულან შოკიდან იმის გამო, რომ ჯანარალიევმა 9 მაისს გროზნოს ერთ-ერთ საკონტროლო გამშვებ პუნქტზე თავი აიფეთქა. მას თანამზრახველიც ახლდა, რომელიც სამართალდამცავებმა გაანადგურეს.

ამავე ოპერაციის დროს 6 პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. როგორც გაირკვა, შამილ ჯანარალიევი ადრე სირიაში საბრძოლველად აპირებდა წასვლას, მაგრამ ვერ მოახერხა. მისი ნაცნობები მას პოზიტიურად ახასიათებენ და ვერ იჯერებენ ჯანარალიევის რაიმე კავშირს ტერორისტებთან.

ანალიტიკოსები კავკასიაში ხალიფატის გააქტიურებაზე პროგნოზს რამდენიმე თვის წინ აკეთებდნენ. ამჟამად ისლამური სახელმწიფო აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანას ემუქრება, თუმცა, როგორც ჩანს, კავკასია ისევ თავისი გავლენის სფეროდ მიაჩნია.

**გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის სქემა გამოავლინა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე ხუთი პირი დააკავეს. დაკავებულები არიან: ქ. თბილისის მერიის ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ლიფტების ტექნიკური ზედამხედველობის თანამშრომლები: ჯგუფის უფროსი შამილ კორძაძე, ლიფტების ტექნიკური ზედამხედველები გიორგი ცირდავა და არჩილ მიქაძე, ი/მ გიორგი ცხვარაძე და შპს „ჯორჯიან ლიფტსერვისის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ გუმბერიძე.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ლიფტების ტექნიკური ზედამხედველობის თანამშრომლები მათთან კავშირში მყოფი კერძო პირების სახელზე რეგისტრირებული ფირმების მეშვეობით ახდენდნენ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თაღლითურად დაუფლებას.

კერძოდ, ზემოაღნიშნული პირები პირადი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ლობირებას უწევდნენ და უპირატეს მდგომარეობაში აყენებდნენ იმ ფირმებს, რომლებიც მათ ნათესავებზე ან ახლო მეგობრებზეა გაფორმებული: ი/მ გიორგი ცხვარაძე და შპს „ჯორჯიან ლიფტსერვისი“.

„თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ თანამშრომლები მათი შენიღბული ფირმების გამოყენებით წინასწარ ახდენდნენ შესასრულებელი სამუშაოების პირველადი ხარჯთაღრიცხვების ხელოვნურად გაზრდას, შემდგომ თვითონვე ადგენდნენ გამგეობებში წარსადგენ შესაბამის დასკვნებს იმის შესახებ, რომ წინასწარ ხარჯთაღრიცხვებში ჩამოთვლილი სამუშაოების ნუსხა და მათზე მითითებული ფასები რეალურია, შეესაბამება მოცემულ მისამართზე არსებული ლიფტის მდგომარეობას და დაფინანსება მიზანშეწონილია. სამუშაოების არაჯეროვნად დასრულების შემდგომ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ახდენდნენ საბოლოო ხარჯთაღრიცხვების (ფორმა №2) ჩაბარებას, თითქოსდა აღნიშნულმა კომპანიებმა შეასრულეს ხარჯთაღრიცხვებში მითითებული სამუშაოები, რასაც შესაბამისი ბეჭდით და ხელმოწერებით ადასტურებდნენ. აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივად სწორედ მათ ევალებოდათ შემსრულებელი ფირმის მიერ შედგენილი წინასწარი ხარჯთაღრიცხვების შემოწმება, სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა და ტექნიკური კონტროლი.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით, ტრასოლოგიური დასკვნითა და საფინანსო-სამეურნეო რევიზიის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად, ქ. თბილისის ვაკისა და საბურთალოს რაიონებში მდებარე მხოლოდ ცხრა ლიფტის შეკეთებისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა შეადგენს 13.174 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო. საქმეზე გამოძიება გრძელდება სხვა პირებისა და ახალი გარემოებების გამოვლენის მიზნით.

# ე.წ. კანონიერი ქურდი: „მოვისმინე გია ლორთქიფანიძის საუბარი, რომ საქართველოში არჩევნებამდე ასეთი საბოტაჟების მოწყობას გეგმავენ“

ე.წ. კანონიერი ქურდობის ბრალდებით დაკავებული დავით გერლიანი-ჩაჩიბაიას ინფორმაციით, უკრაინაში დაკავების შემდეგ მან ოდესის პოლიციის უფროსის საუბარი მოისმინა, რომელიც ამბობდა, რომ საქართველოში არჩევნებამდე ე.წ. კანონიერი ქურდების გამოშვებით საბოტაჟის მოწყობას აპირებენ. ამის შესახებ დავით გერლიანმა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე გამართულ სასამართლო პროცესზე განაცხადა. როგორც გერლიანმა აღნიშნა, ის უკრაინიდან პროცედურების დარღვევით გამოაძევეს.



**დავით გერლიანი:**

– როცა ადამიანს დეპორტაციას უკეთებენ, უნდა იყოს წარდგენილი მეორე ქვეყნისთვის საჭირო დოკუმენტაცია, რაც ჩემს შემთხვევაში არ მომხდარა. მე გამიტაცეს რესტორნიდან და ჩამსვეს თვითმფრინავში.

მაინტერესებს, თუ გივი თარგამაძემ იცოდა, რომ მე დანაშაული მქონდა ჩადენილი და საქართველოში მოვდიოდი, რატომ არ შეატყობინა ეს თუნდაც პოლიციას. მგონი ეს მსუბუქი დანაშაულია, რომელიც მან ჩაიდინა. გარდა ამისა, სანამ თვითმფრინავში ჩამსვამდნენ, გავიგონე გია ლორთქიფანიძის საუბარი, რომ არჩევნებამდე, 223-ე მუხლს (ქურდული სამყაროს წევრობა) მისადაგებული ადამიანები კიდევ უნდა გაუშვან საქართველოში და მოაწყონ საბოტაჟი. მინდა ვთქვა, რომ ასეთ ადამიანებთან საქართველოს მთავრობას არანაირი კავშირი არ აქვს.

ე.წ. კანონიერ ქურდობაში ბრალდებულის განმარტებით, ის უკრაინის მოქალაქეა და უკვირს, როგორ მოხდა მისი დეპორტაცია საკუთარი ქვეყნიდან. ის მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საქმეში პოლიტიკურ თამაშებს აქვს ადგილი. როგორც დავით ჩაჩიბაიამ აღნიშნა, ის მხატვარია და ევროპის ქვეყნებში დადის პეიზაჟების დასახატად.

**ინტერპრესნიუსი**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 567 600 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

76 107 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

7 610,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

61 086 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 24 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 ივლისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 ივლისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;

ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1, 5 მეტრს;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ხორშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობზე, „შუა ხორშის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 132 300 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ხორშის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

17 740 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 774 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

9 070 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 24 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 ივლისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 ივლისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ტყაჩირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 75 300 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ტყაჩირის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

10 097 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 009,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

5 249 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 24 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 ივლისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 ივლისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი და ყველა უხვგოლიანი მატჩი მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. მადიარებმა დაამტკიცეს, რომ კონტინენტის საუკეთესო გუნდებს შორის შემთხვევით არ მოხვედრილან და არც შემთხვევით ლიდერობდნენ ჯგუფს.

საწყენი მხოლოდ ის იყო, რომ ეს შესანიშნავი თამაში მხოლოდ 90 წუთს გაგრძელდა. არადა, მაყურებელი კიდევ ისიამოვნებდა სანახაობით.

სამჯერ იგებდნენ უნგრელები:



ჯერ ზოლტან გერას შესანიშნავი გასროლით, რომელიც ნანიმ ტაიმის ბოლოს გაქვითა. თუმცა, მე-2 ტაიმის დასაწყისშივე საოცრებები ვიხილეთ: ბალაჟ ჯუჯაკმა საჯარიმო დარტყმით წინ გაიყვანა თავისიანები. ამაში უნგრელს პორტუგალიელთა მიერ დაყენებული „ცოცხალი კედელიც" წაეხმარა. იქვე კრიშტიანუ რონალდუს ულამაზესი გოლი, რომელიც ქუსლით გაიტანა. ისევ ჯუჯაკი და ისევ მცირე რიკოშეტი. რონალდუ არ ნებდება და თავით კიდევ ერთი ლამაზი გოლი გააქვს.

3:3-ის შემდეგ უპირატესობას პორტუგალიელები დაეუფლნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ფრეც გაიყვანდა პლეი ოფში და დაწყნარდნენ. თავდაპირველად ფიქრობდნენ რომ ჯგუფიდან მე-2 ადგილით გავიდოდნენ, მაგრამ ბედმა სხვა მატჩში იმ დროს უმუხთლათ, რომ თავად დრო არ დარჩათ.

პორტუგალიელები პლეი ოფში ხორვატებს შეხვდებიან.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — კრიშტიანუ რონალდუ

ნანი და ჯუჯაკი — ეს ფეხბურთელებიც იმსახურებდნენ საუკეთესოს ტიტულს, მაგრამ რონალდუ ვარჩიეთ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზედიზედ მე-4 ევროპის ჩემპიონატზე გაიტანა გოლი, ჩაატარა მე-17 მატჩი ფინალურ ეტაპზე, რაც საუკეთესო მაჩვენებელია. ამასთან, ორჯერ გადაარჩინა გუნდი მარცხისგან და შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

**ფერნანდუ სანტუში:**

— მე-3 ადგილის დაკავება გვსურდა, მაგრამ არა ამგვარად. სამი მატჩის განმავლობაში საკმარისზე მეტი გავაკეთეთ, რომ პირველ ადგილზე გავსულიყავით. სასტარტო ტურების მერე ვამბობდი, რომ გუნდი კარგად თამაშობდა, მაგრამ გოლები ვერ გაჰქონდა. განვლილ მატჩში პირიქით იყო. ჩვენ კარგად ვუტევდით, მომენტებს ვქმნიდით და გოლები გავიტანეთ. თუმცა, დაცვაში არცთუ თავდაჯერებულნი ვიყავით... მომავალი მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება. ხორვატია ერთ-ერთო „ზვიგენია" და ვცდილობდით მას არ შევხვედროდით. ხორვატებმა ჯგუფში, სადაც ესპანელებთან ერთად იყვნენ პირველი ადგილი დაიკავეს, რაც მათ ძალაზე მიუთითებს. ამ გუნდს საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს.

**ბერნდ შტორკი:**

— განვლილ მატჩში უფრო დაცვით მანერაში ვმოქმედებდით, ვიდრე საწყის შეხვედრებში, რადგან პორტუგალია ძალიან ძლიერია. როდესაც რონალდუს ბურთი აქვს, ის შედეგს აჩვენებს. ჩვენი მხრიდან განვლილ მატჩში გუნდური თამაში საუცხოო იყო. პარალელურად ყველა მატჩში ვსწავლობთ და გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ძალიან მიხარია, რომ ნაკრები პროგრესირებს.

### ისლანდია-ავსტრია 2:1

**სენ-დენი. სტად დე ფრანსი**

**1:0 ბოდვარსონი (18), 1:1 შჰოფი (60), 2:1 ტრაუსტასონი (94)**

**39-ე წუთზე დრაგოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)**

**ისლანდია:** ჰალდორსონი, არნასონი, რ.სიგურდსონი, სევარსონი, სკულასონი, გუნარსონი, გ.სიგურდსონი, გუდმონდსონი (ინგასონი 86), ბ.ბიარნასონი, სიგტორსონი (ტრაუსტასონი 80), ბოდვარსონი (ე.ბიარნასონი 71)

**ავსტრია:** ალმერი, პრიოდლი (შჰოფი 46), ჰინტერეგერი, ფუჩსი, დრაგოვიჩი, ილსანკერი (იანკო 46), ბაუმგარტლინგერი, არნაუტოვიჩი, ალაბა, კლეინი, საბიცერი (იანტშერი 78)

ვინც ამბობდა, რომ ისლანდიის ნაკრების ნაცვლად ევროპირველობაზე ჰოლანდია უნდა ყოფილიყო, ძალიან შეცდა. კუნძულელები აჩვენებენ ფეხბურთს, რომელსაც გუნდური ჰქვია და ამას მშვენივრად ახერხებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, სანაკრებო ლესტერია.

სპეციალისტები უკვე ფიქრობენ, რომ მერვედფინალში ინგლისის ნაკრებს არცთუ იოლი ბრძოლა ექნებათ ისლანდიელებთან და ეს ავსტრიასთან მატჩმაც დაამტკიცა.

ისლანდიელებმა იციან შეტევაც, დაცვაც და კონტრშეტევაც — სწორედ ასეთი თამაშით მოუგეს ავსტრიელებს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — კარი არნასონი

გააკეთა საგოლე პასი, იხსნა თავისი გუნდი გოლისგან, როდესაც დაუცველ კარში ბურთი შედიოდა და გადაელობა, იყო თითქმის ყველა პოზიციაზე, თითქოს მოედანზე მისი ტყუპისცალები დარბოდნენ. არადა, ეს კარი არნასონი იყო.

**ჰეიმირ ჰალგრიმსონი:**

— მომენტებში გვიმართლებდა, მაგრამ ჩვენ უნაკლო ფსიქოლოგიური მდგრადობა გამოვავლინეთ. ჩვენი გუნდით ვამაყობ. ფეხბურთელები მხოლოდ შექებას იმსახურებენ. ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ შეხვედრა შესაძლოა ნებისმიერი ანგარიშით დასრულებულიყო. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ისლანდიისთვის? ვფიქრობ, ეროვნული დღესასწაულის დღის გადატანა მოგვიწევს. ჩვეულებისამებრ 17 ივნისს აღვნიშნავთ, მაგრამ, ალბათ, ახლა თარიღის შეცვლა მოგვიწევს.

**მარსელ კოლერი:**

— არ ვფიქრობ, რომ პირადი ჩავარდნაა. მეც და გუნდმაც ღირებული გამოცდილება მივიღეთ. მეორე ტაიმში ტურნირზე ყველაზე შინაარსობრივი თამაში ვაჩვენეთ. მეტოქეს პრესინგი დავუწესეთ და კარგად ვმოძრაობდით.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 2.ისლანდია | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 | |
| 3.პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 0 | 4-4 | 3 |
| 4.ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

### იტალია-ირლანდია 0:1

**ლილი. სტად პიერ მორო**

**0:1 ბრეიდი (85)**

**იტალია:** სირიგუ, ბარძალი, ბონუჩი, ოგბონა, ბერნარდესკი (დარმიანი 60), სტურარო, ტიაგო მოტა, ფლორენცი, დე შილიო (ელ შაარავი 82), ძაძა, იმობილე (ინსინიე 74)

**ირლანდია:** რენდოლფი, კოულმენი, დაფი, კეოგი, უორდი, ჰენდრიკი, მაკლინი, მაკარტი (ჰულეჰანი 77), ბრეიდი, მერფი (მაკგიდი 70), ლონგი (ქუინი 90)

ირლანდიელები ჯგუფის კალენდარსაც უნდა უმადლოდნენ, რომ პლეი ოფში გავიდნენ. ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე, იტალიელებთან თამაში რთული ჩანდა, მაგრამ 2 ტურის შემდეგ აღმოჩნდა რომ, ეს არცთი ისე საშიში იქნებოდა. ანტონიო კონტეს გუნდმა ვადაზე ადრე გაინაღდა პირველი ადგილი და მწვრთნელმაც ბოლო მატჩში მოედანზე სარეზერვო შემადგენლობა გამოიყვანა. მართალია, მწვრთნელის წინაშე თავის გამოჩენა მათაც სურდათ, მაგრამ საბრძოლველად შემართულ ირლანდიელებს 85 წუთი გაუძლეს.

ირლანდიელები ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ მისი გოლად ქცევა უჭირდათ და, შესაძლოა, სულაც წაეგოთ, როდესაც შეცვლაზე შესულმა ინსინიემ ბურთი ძელს გაარტყა. არადა, იტალიელებს მეტი არც არაფერი შეუქმნით.

მწვანეებმა თავისი შანსი მხოლოდ მიწურულს გამოიყენეს და მანამდე ნანერვიულები გულშემატკივრები ექსტაზში მოიყვანეს. მესამე ადგილი და პლეი ოფი — ირლანდიის ბრძოლა გრძელდება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — რობერტ ბრეიდი

სულაც რომ არაფერი გაეკეთებინა ბრეიდის, გამარჯვების გოლი საკმარისი იქნებოდა, მაგრამ აქამდე ფლანგზე მოთამაშე ვინგერი ონილმა იტალიასთან ცენტრფორვარდად დააყენა და ბრეიდიც უკეთ ირჯებოდა. საკმაოდ აქტიურ თავდამსხმელს გარჯა დაუფასდათ და ჩვენც დავაფასეთ.

**ანტონიო კონტე:**

— ფეხბურთელების თავდადებით, რომლებიც მოედანზე უფრო იშვიათად გადიან, კმაყოფილი ვარ. მინდა მეტოქეს მივულოცო, რომელმაც კარგად იმუშავა და დამუხტული იყო. ირლანდიის ნაკრებს შემდეგ ეტაპზე გასვლა ძალიან სურდა და დაჯილდოვდა. ჩვენ წინააღმდეგ იმ ფეხბურთელებმა ითამაშეს, რომლებმაც ცხოვრების მთავარი მატჩი ჩაატარეს. მომდევნო მეტოქეს რაც შეეხება, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა და ესპანეთთან შეხვედრა საკმაოდ უცნაურია. ჩვენი წყვილის გამარჯვებული შემდეგ, შესაძლოა გერმანიას ან საფრანგეთს შეხვდეს. ფინალისკენ გზა იოლი არაა, მაგრამ ასეთია.

**მარტინ ონილი:**

— ჩემი გუნდით ასეთი ამაყი არასოდეს ვყოფილვარ. განსაკუთრებული დღეა. ტრიბუნები მხარს საუცხოოდ გვიჭერდნენ. ჩემი აზრით, ფეხბურთელები და გულშემატკივრები ერთმანეთს ემოციებით კვებავდნენ. მატჩის ბოლოს ემოციები ცოტა მოჭარბებული იყო. ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ — აღფრთოვანებული ვარ.

### შვედეთი-ბელგია 0:1

**ნიცა. სტად დე ნიცა**

**0:1 ნაინგოლანი (84)**

**შვედეთი:** ისაკსონი, ლინდელოფი, იოჰანსონი, გრანქვისტი, ოლსონი, ლარსონი (დურმაზი 70), ეკდალი, კალსტრომი, ფორსბერგი (ზენგინი 82), ბერგი (გუიდეტი 63), იბრაჰიმოვიჩი

**ბელგია:** კურტუა, მუნიე, ალდერვეიელდი, ვერმაელენი, ვერტონგენი, ნაინგოლანი, ვიტსელი, ფერეირა-კარასკო (მერტენსი 71), დე ბრუინი, აზარი (ორიჯი 90), ლუკაკუ (ბენტეკე 87)

მთლიანობაში სასიამოვნო საყურებელი მატჩი გამოდგა, მხოლოდ შედეგით ბელგიელმა გულშემატკივრებმა ისიამოვნეს.

„წითელმა ეშმაკებმა" დამაჯერებელი პირველი ტაიმი ჩაატარეს, მაგრამ საგოლე მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. ერთია, ბელგია უფრო მწვავედ უტევდა.

შვედებმა შესვენების შემდეგ მოუმატეს, რადგან უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ. მატჩის მიწურულს კი უგოლო ფრე მათ გეგმებში არ იყო და დიდი ძალებით წავიდნენ წინ. ამ დროს იღბალმა მეტოქეს გაუღიმა, როდესაც რაჯა ნაინგოლანის დარტყმული ბურ-



თი მცველისგან ასხლეტით გავიდა კარში.

შვედები მე-4 ადგილით მიდიან სახლში. საწყენი უფრო ზლატან იბრაჰიმოვიჩის გამოა, რომელმაც ბელგიასთან ბოლო სანაკრებო მატჩი ჩაატარა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — ედენ აზარი

ბელგიელთა ნახევარმცველი ავანდებს ამართლებს. აზარი ყველა ნათელი წერტილი იყო მოედანზე, გამოირჩეოდა შემოქმედებით, ამწვავებდა სიტუაციას და შვედების დაცვას უამრავი პრობლემა შეუქმნა.

**ერიკ ჰამრენი:**

— მატჩამდე ვამბობდით, რომ ამ ტურნირზე შვედეთის წარდგენა დიდი პატივია. ფეხბურთელებს ვერაფერში ვუსაყვედურებ. წაგების მიუხედავად, მათით ვამაყობ. ჩვენ კარგი მომენტები გვქონდა და ბელგიელებმა გოლი მატჩის მიწურულს გაგვიტანეს. ბოლო ორი შეხვედრა არცთუ ცუდად ჩავატარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი შანსი ვერ გამოვიყენეთ. იმედი მქონდა, რომ ზლატანი ნაკრებს სხვაგვარად დაემშვიდობებოდა. ახალი ზლატანის მოძებნა? გამორიცხულია... ის უნიკალური ფეხბურთელია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ შვედეთის მსგავს პატარა ქვეყანაში კიდევ ერთი ასეთი ფეხბურთელი მოიძებნება.

**მარკ ვილმოტსი:**

— მეტოქე იძულებული იყო, გახსნილიყო და ჩვენც გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით. უფრო მისაღები ტაქტიკურად კონტრშეტევაზე თამაში იყო. თუ მეტოქე იძულებულია შეგვიტიოს, ის ამისთვის ისჯება. ცხრიდან 6 ქულის აღება კარგი შედეგია. მე კმაყოფილი ვარ იმ ფეხბურთით, რომელიც იტალიასთან მარცხის მერე ვაჩვენეთ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 |
| 2.ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3.ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 4.შვედეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

**მერვედფინალებში გუნდები ასე დაწყვილდნენ:**

**25 ივნისი:** შვეიცარია-პოლონეთი; უელსი-ჩრ.ირლანდია; ხორვატია-პორტუგალია;

**26 ივნისი**: საფრანგეთი-ირლანდია; გერმანია-სლოვაკეთი; უნგრეთი-ბელგია;

**27 ივნისი**: იტალია-ესპანეთი; ინგლისი-ისლანდია;

## ხელბურთელთა ნაკრები ევროპის ფესტივალისთვის მზადებას განაგრძობს

4-8 ივლისს გეტებორგში გაიმართება ევროპის ღია პირველობა ხელბურთში 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, სადაც ყველა უძლიერესი ნაკრები ითამაშებს. საქართველოს ნაკრები აგრძელებს მზადებას წლის მთავარი ტურნირისთვის.

ნაკრებმა წლეულს უკვე ითამაშა ორ ტურნირზე: მეორე ადგილი დაიკავა ქალთა ტროფიზე თბილისში და შემდეგ ევროპის ჩემპიონატის კვალიფიკაციაც ჰქონდა მონტენეგროში, ორი წლით უფროსებთან.

ევროპის ღია პირველობა უდიდესი სახელბურთო ფესტივალის, პარტილეს თასის მთავარი შეჯიბრებაა., თამაშობს ყველა უძლიერესი ნაკრები, არის ეჰფ-ს ტურნირების სიაში და ევროპის ჩემპიონატის ტოლფასია.

ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გიორგი გვაზავას თებერვლიდან ასისტენტობას უწევს უკრაინელი ოლექსანდრ გურსკი. სამწვრთნელო სტაფში არიან ინა ჭკუასელი, ლანა მარგიანი და მეკარეების მწვრთნელი ამირან კომახიძე. გოგონების მზადებაში ჩაერთვნენ ეროვნული ნაკრების ლიდერებიც, რომლებსაც სეზონის შემდომი არდადეგები აქვთ. ბოლო ორ ვარჯიშზე იმყოფებოდნენ ჯერ ნაკრების მეკარე შოთა თევზაძე, ხოლო შემდეგ — ირაკლი ჩიქოვანი და ილია გოგალაძე.



გუნდი სპორტკომპლექს არენის მეორე დარბაზში ემზადება. მწვრთნელების განკარგულებაში ამჟამად 19 ხელბურთელია, საიდანაც ოპტიმალური შემადგენლობა აირჩევა. ნაკრები შვედეთში 2 ივლისს გაემგზავრება. ჩვენები 4 და 5 ივლისს დღეში 2-2 მატჩს გამართავენ.

**დ ჯგუფი: საფრანგეთი, ჰოლანდია, ავსტრია, ფინეთი, საქართველო**

**04 ივლისი:** საქართველო-საფრანგეთი;

**04 ივლისი**: ავსტრია-საქართველო;

**05 ივლისი**: საქართველო-ფინეთი;

05 ივლისი: საქართველო-ჰოლანდია;

**ა ჯგუფი: დანია, შვედეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი**

**ბ ჯგუფი: რუსეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, ფარერები**

**ც ჯგუფი: რუმინეთი, ნორვეგია, მონტენეგრო, შვეიცარია, ისლანდია**

**6-8 ივლისი**: ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო გუნდი ითამაშებს 1-8 ადგილებისთვის, 3 ადგილებზე გასულები — 9-12 ადგილებისთვის, 4-5 ადგილებზე გასულები — 13-18 ადგილებისთვის.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## შედეგები

**22 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

უნგრეთი-პორტუგალია .............. 3:3
ისლანდია-ავსტრია .................... 2:1
ირლანდია-იტალია ..................... 1:0
შვედეთი-ბელგია ........................ 0:1

**კოპა ამერიკა**

კოლუმბია-ჩილე .......................... 0:2

**აფრიკის ერთა თასი**

ს.აფრიკა-სვაზილენდი ................ 5:1
ბოსტვანა-დრ.კონგო .......... 0:0(5:4პ)

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ბორჯომი ისევ ქართული კალათბურთის სამსახურშია

**უკვე მეექვსე წელია მინერალური წყალი „ბორჯომი“ საქართველოს ეროვნული ნაკრების პარტნიორია. გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და კომპანია „ბორჯომის“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად, „ბორჯომი“ 2016 წელს საქართველოს ნაკრების პარტნიორი იქნება.**

ხელმოწერის ცერემონია ქალაქ ბორჯომში გაიმართა, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილიც ესწრებოდა. ღონისძიებას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების წევრები: ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი, ანატოლი ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი შერმადინი, ნიკა მეტრეველი, დუდა სანაძე, ბექა ბურჯანაძე, გიორგი შარაბიძე, ბესიკ ლეჟავა, ლუკა ზაქრაძე, გიორგი გოგობერიშვილი და ასევე მწვრთნელები კოტე ტუღუში და ირაკლი ხოშტარია ესწრებოდნენ.




**ტარიელ ხეჩიკაშვილი:**

– ეს არის სახელმწიფოს, ფედერაციის და კერძო სექტორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი, რაც რა თქმა უნდა ხელს შეუწყობს ჩვენი სპორტსმენების წარმატებას. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ბორჯომს“ და მის ხელმძღვანელებს. მათ არა მარტო კალათბურთისთვის, არამედ ზოგადად ქართული სპორტისთვის ბევრი სასიკეთო საქმე აქვთ გაკეთებული. გვჯერა, რომ ქართველი კალათბურთელები მომავალში არაერთი გამარჯვებით გაგვახარებენ. წარმატებას ვუსურვებ ეროვნულ ნაკრებს.

**ზაზა კიკვაძე:**

– „ბორჯომის“ ბრენდი საქართველოს საექსპორტო გაყიდვების ფლაგმანია და გარკვეულწილად ვალდებულებადაც კი ვთვლით თავს, რომ გვერდში დავუდგეთ გუნდს, რომელიც ჩვენი ბრენდის მსგავსად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მთელს მსოფლიოში. მინდა, წარმატება ვუსურვო მათ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყველანი ერთად ვუგულშემატკივრებთ ჩვენს ნაკრებს.

**მიხეილ გაბრიჩიძე:**

– საერთაშორისო ასპარეზზე „ბორჯომის“ მინერალური წყალი ყოველთვის საქართველოს სახელთან ასოცირდება, ამიტომ მოხარულნი ვართ, რომ ეს ცნობილი კომპანია კვლავ ჩვენი გენერალური პარტნიორი იქნება. იმედი გვაქვს, კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი ნაკრები ქართულ ბრენდთან ერთად კიდევ უფრო დიდ ყურადღებას მიიპყრობს მთელ ევროპაში.

შეგახსენებთ, რომ ევრობასკეტ 2017-ის შესარჩევი ტურნირის თამაშები მიმდინარე წლის 31 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები მონტენეგროს, სლოვაკეთისა და ალბანეთის ეროვნული გუნდები იქნებიან. ჩვენი ნაკრები შესარჩევს 31 აგვისტოს, ალბანეთთან საშინაო მატჩით გახსნის, რის შემდეგაც 3 სექტემბერს სლოვაკეთში ითამაშებს, ხოლო 7-ში მონტენეგროს უმასპინძლებს. შესარჩევი ეტაპის მეორე წრეში ქართველები 10 სექტემბერს ალბანეთში ითამაშებენ, 14-ში სლოვაკეთს უმასპინძლებენ, ხოლო ჯგუფის ბოლო მატჩს 17 სექტემბერს მონტენეგროში გამართავენ.

ჯგუფის გამარჯვებული პირდაპირი გზით მოიპოვებს ევრობასკეტ 2017-ის საგზურს, ხოლო შესარჩევი ეტაპის 7 ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატზე 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ოპერის თეატრში საქველმოქმედო საღამო აღარ გაიმართება



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საქველმოქმედო საღამო აღარ გაიმართება.

კონცერტი 27 ივნისს იყო დაგეგმილი და მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სოფო ხალვაშს, მარიკო ებრალიძეს, ლაშა რამიშვილს, ნოდიკო ტატიშვილს, დავით არჩვაძეს, ბორის ბედიას, დათუნა მგელაძესა და სხვა ცნობილ მომღერლებს.

ემიგრანტებისთვის მიძღვნილი კონცერტის ინიციატორი დეკანოზი ბასილ ახვლედიანი იყო. ოპერის სცენაზე ესტრადის მომღერლების კონცერტის ჩატარება ოპერის მომღერლების ნაწილმა გააპროტესტა, რასაც საღამოს გადადება მოჰყვა.

**დეკანოზი ბასილ ახვლედიანი:**

– 27 ივნისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში საქართველოს სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფონდ ,,იბერიის აღდგომის“ მიერ დაგეგმილი საღამო, რომელიც ემიგრანტებს ეძღვნებოდა, სამწუხაროდ, არ ჩატარდება.

ღონისძიების მიზანია, ჩვენი ყურადღება და სიყვარული მივმართოთ ყველა ემიგრანტისკენ, განსაკუთრებით კი მოვეფეროთ ყველაზე მივიწყებულ და სასოწარკვეთამდე მისულ თანამოქალაქეებს და, უბრალოდ, ვუთხრათ, რომ მიუხედავად დროსა და სივრცეში დაშორიშორებისა, ჩვენი სიყვარული ცოცხალია და იგი უსაზღვროა!

გვაქვს დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები თითოეული მათგანის სამშობლოში დაბრუნების ხელშესაწყობად და მრავალი ეროვნული მნიშვნელობის პროექტის განსახორციელებლად. მიუხედავად სკეპტიკოსებისა, ეს პროექტები შედგება და, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა მიმართაც გამოვიჩენთ ქრისტესმიერ სიყვარულს.

ემიგრაციაში მყოფ ურიცხვ თანამემამულეთა ერთმა მწირმა და უმრწემესმა სეგმენტმა გადაწყვიტა თავიანთი ვიწრო მერკანტილური გეგმების განხორციელება ჩვენი ღონისძიების დისკრედიტაციის ხარჯზე. მათ შეურაცხყოფა მიაყენეს დაგეგმილი საღამოს ყველა შემქმნელსა და მონაწილეს, რომელთაც, ზემოთ აღნიშნულ სეგმენტთან შედარებით, არანაკლები სულიერი, ადამიანური, ზნეობრივი თუ თუნდაც პროფესიული მიღწევები გააჩნიათ და პირნათლად ემსახურებიან სამშობლოს.

გარდა ამისა, ფონდს მიადგა სერიოზული ეკონომიკური ზიანი. მიუხედავად კიდევ ბევრი სხვა ნეგატიური შედეგისა, ასევე, ჩვენი თხოვნისა, რომ დაესრულებინათ ჩვენი უმიზეზო დისკრედიტაცია და მათი გონიერი წევრების მხრიდან პირად საუბრებსა თუ მიმოწერაში, რისი არქივიც გაგვაჩნია... შეცდომის აღიარებისა, რომ მათ არ იცოდნენ, თუ რას ემსახურებოდა ეს საღამო, თორემ მსგავს ქმედებებს ადგილი არ ექნებოდა, მაინც განაგრძეს ,,კულტურული რევოლუცია“ უკულტუროდ და, ხშირ შემთხვევაში, ,,პოსტების“ მიხედვით, რომლებიც ასევე მათი მიბაძვით ყოველი შემთხვევისთვის ,,დავასკრინეთ“ არქივისთვის, ყოველგვარ ზრდილობის ჩარჩოებს ასცდა და უტიფრობაში გადავიდა.

ფონდი ,,იბერიის აღდგომა“ შენდობას ითხოვს ასეულათასობით ემიგრანტისა და საქართველოში მყოფ თანამოქალაქეთა წინაშე, რადგან, მათი დიდი მოლოდინისა და უამრავი მათგანის კონტინენტალური ჩართულობის მიუხედავად, დაგეგმილი საღამო არ შედგება ოპერაში. იგეგმება საღამოს გადანაცვლება უახლოეს მომავალში სხვა დროსა და სივრცეში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ქართული მონეტების ოქროს კოლექცია საჯაროა



საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა უნიკალური პროექტი განახორციელა. „ქართული მონეტების ოქროს კოლექცია“ – ასეთია პროექტის სახელწოდება, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს საშუალებას, გახდეს წიგნი-ალბომის მფლობელი და თვეში ერთხელ პირად კოლექციას თითო მონეტა შემატოს.

წიგნ-ალბომში საგანგებოდაა გამოყოფილი ადგილები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მონეტების ასლებით ივსება. ალბომს მოჰყვება სპეციალური ლუპა.

24 განსხვავებული მონეტა საქართველოს ისტორიას ქრონოლოგიურად გვიამბობს. სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, მოინახულონ ნუმიზმატიკური საგანძურის გამოფენა, რომელიც სპეციალურად ღონისძიების ფარგლებში გაიხსნება. თითოეული სტუმარი საჩუქრად მიიღებს პირველი მონეტის ასლს. სამომავლოდ კი ერთგულ მომხმარებელს, რომელიც უნიკალური კოლექციის შეგროვებას გააგრძელებს, ექნება შანსი, ნამდვილი ოქროს მონეტის მფლობელი გახდეს.



# ქართველი მსახიობები პარიზში პოდიუმზე გამოვიდნენ

ბალენსიაგას მიერ გამართულ მოდის ჩვენებაში, რომელსაც საფრანგეთის დედაქალაქმა უმასპინძლა, პროფესიონალ მოდელებთან ერთად ქართველი მსახიობებიც გამოვიდნენ.

სანდრო ფოფხაძესა და ნიკოლოზ ჭავჭავაძეს მაყურებელი დოკუმენტური ფილმიდან „როცა დედამიწა მსუბუქია“ იცნობს, რომელმაც არაერთ საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და დადებითი შეფასებები დაიმსახურა.

ბალენსიაგას კრეატიული დირექტორი ქართველი დიზაინერი დემნა გვასალიაა. 2017 წლის გაზაფხულის კოლექციის ჩვენებაზე მან ქართველი მსახიობები მიიწვია, რომლებსაც მოდის კრიტიკოსები დადებითად შეხვდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 24 ივნისისთვის



**ვერძი** – ნებისმიერი საქმიანობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. როგორც ოჯახში, ისე სამსახურში რთული პერიოდი გაქვთ. **კურო** – არასასიამოვნო ინფორმაცია აგაფორიაქებთ. იმისათვის, რომ წონასწორობა და სულიერი სიმშვიდე აღიდგინოთ, გაისეირნეთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი შემცირებულია. საქმიან ქალბატონებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. გელით როგორც პირადი, ისე საქმიანი შეხვედრა. **კირჩხიბი** – დაისვენეთ და მოდუნდით. უმჯობესია, თუ სახლში არ დარჩებით და ბუნების წიაღში გაისეირნებთ. **ლომი** – მორიგი ბედის გამოცდა გრძელდება. არსებული პრობლემები, უმჯობესია, არასტანდარტული გზით გადაჭრათ. **ქალწული** – ნუ იქნებით ეგოისტი. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. ნებისმიერ საქმეს უპრობლემოდ მოაგვარებთ. **ღრიანკალი** – დღეს მაქსიმალური სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. სიახლეების პერიოდი გაქვთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. **მშვილდოსანი** – დაძაბული დღეა. მოსალოდნელია უსიამოვნო ინფორმაცია. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თხის რქა** – საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ. სანამ რამეს დაგეგმავთ, წინასწარ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** – იღბლიანი დღეა. განსაკუთრებული სიბრძნისა და მოთმინების გამოჩენა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ბავშვებთან. **თევზები** – დღეს თქვენი არაკეთილმოსურნენი შეეცდებიან, გაგაცურონ. ნურავის მიენდობით და ნურავისზე დამოკიდებული ნუ იქნებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სილის გორაკი უდაბნოში; 2. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 3. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 4. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 5. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 11. ძალიან პატარა სპეციალური სარბოლო ავტომობილი; 12. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 6. საფრანგეთის ჰიმნი; 7. ძვირფასი მაჯის საათის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 8. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. ტროპიკული ლერწმისგან დამზადებულ მასალაზე შესრულებული ეგვიპტური ხელნაწერი; 14. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 15. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 18. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 20. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო რბილსხეულიანი ცხოველი; 22. არომატიზებული, დასპირტული ღვინო; 24. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 25. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 26. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თორი; 2. იდო; 3. პლატფორმა; 4. ბურგი; 5. ბაჯაღლო; 8. „მახა“; 9. ზამბეზი; 10. გარანტია; 12. „აიაქსი“; 13. ნუარე; 15. აგუნა.

**თარაზულად:** 1. თუტმოსი; 6. კლაუზულა; 7. რემბო; 10. გოტიე; 11. შხარა; 13. ნუბია; 14. ომალო; 16. ქამა; 17. არაბული; 18. ახტალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ლაუდერი“; 2. ბაზილიკა; 3. „ამარკორდი“; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. „ცერული“; 11. ფართინგი; 12. შეიკერი; 13. კამბუზი; 16. ბატერფლაი; 17. ვოდევილი; 19. „ახმეტელი“; 21. ეკერი; 23. „ალეკო“.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. „სესილი“; 9. აკვარელი; 14. „ლაშარელა“; 15. ამირეჯიბი; 18. „ლეგია“; 20. ნოკაუტი; 22. ქიაჩელი; 24. სკოპიე; 25. პლომბირი; 26. „ალკალა“.

# გიორგი აფციაური პოლიტიკაში მიდის



კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილისა და მსახიობ ზურა შარიას შემდეგ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება იუმორისტმა გიორგი აფციაურმაც მიიღო და ოქტომბრის არჩევნებში კენჭისყრას აპირებს.

ინფორმაცია „ამბები.ჯიმ“ გაავრცელა:

– გადავწყვიტე, დამოუკიდებელ მაჟორიტარად კენჭი ვიყარო ნაძალადევის რაიონში. ამაზე დიდხანს ვფიქრობდი და რამდენიმე დღის წინ შევიტანე განაცხადი დარეგისტრირებაზე. ჩემს ძირითად საქმიანობას თავს ვანებებ, იუმორისტის ჟანრში არ გამოვჩნდები ტელევიზიით, მაგრამ ახალგაზრდებს დავეხმარები სცენარების დაწერაში. პოლიტმეცნიერებაზე ვსწავლობ და დიდი პრაქტიკული გამოცდილებაა ეს ჩემთვის. მყავს საკუთარი გუნდი და რამდენიმე დღეში ახალი სტანდარტით დავიწყებ საარჩევნო კამპანიას, რომელიც შემოქმედებითი და დადებითი მუხტის მომგვრელი იქნება. რაც შეეხება დაპირებებს, რამდენიმე დღეში ჩამოვყალიბდებით საბოლოო საარჩევნო კამპანიაზე და ყველა დაპირება ცნობილი გახდება მოსახლეობისთვის. მოსახლეობას დავპირდები იმას, რასაც შევძლებ და ჩემი საარჩევნო კამპანია ოპონენტების ლანძღვაზე არ იქნება აგებული.

# „მგზავრები“ ქველმოქმედებისთვის იმღერებენ



კიევში გამართული საქველმოქმედო კონცერტის შემდეგ ჯგუფი „მგზავრები“ სხვების დასახმარებელ კონცერტს თბილისში გამართავს.

28 ივნისს თბილისის საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად საქველმოქმედო აქციას გამართავს. პირველი არხის მაყურებელი ფონდთან დაკავშირებულ არაერთ სიახლეს შეიტყობს პირდაპირი ეთერის მსვლელობისას.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ჯგუფი „მგზავრები“, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი სამხატვრო ხელმძღვანელ ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით და „ჯორჯიან ბრასი“.

შემოსული თანხა სოციალურად დაუცველ მურღულიების ცხრაშვილიან ოჯახსა და ფონდის შვილობილის, დიტო რაზმაძის „ჯონ კორლეტის“ უცხო ენების სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ნიუ იორკის საზაფხულო სკოლაში სწავლების დაფინანსებას მოხმარდება.

# გენერალ გიორგი კვინიტაძის მუნდირი ნადგურდება



ისტორიკოსი ბუბა კუდავა ავრცელებს ინფორმაციას, რომ გენერალ გიორგი კვინიტაძის მუნდირი, რომელიც არა მარტო გენერალ კვინიტაძის სამხედრო ღირსების სიმბოლოა, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროიდან გადარჩენილი ერთადერთი სამხედრო სამოსიცაა, ნადგურდება.

ბუბა კუდავას ინფორმაციით, წლებია საქართველოში ვერ გამოინახა 7.000 ლარი, რომ მუნდირმა პირვანდელი სახე დაიბრუნოს და მისი ნახვა მომავალმა თაობებმაც შეძლონ.

**ბუბა კუდავა:**

– ჩვენ ვართ თავმოუბმელი და გულში მჯიღის მობრაგუნე სახელმწიფო და საზოგადოება!

2011 წელს გიორგი კვინიტაძის ქალიშვილის სახლიდან პირადად ჩამოვიტანე გენერლის მოგონებების 17 რვეული. მანამდე სხვა საარქივო მასალები, ჩვენი თხოვნით, გენერლის შვილიშვილმა ნოდარ ოდიშელიძემ გადმოგვცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ქალბატონ ნანო კვინიტაძესთან სტუმრობისას გენერლის სამოსიც მოვიკითხე, რამე ხომ არ დარჩენილა-მეთქი. არ ახსოვდა. დავძებნიო, დამპირდა. რამდენიმე თვეში ჩემი ძმის, საფრანგეთში საქართველოს ელჩ მამუკა კუდავას დახმარებით საშუალო ზომის ყუთი გამოგვიგზავნა. შიგ ფასდაუდებელი რამ, გენერალ გიორგი კვინიტაძის მუნდირი, ჩოხა, კიდევ რამდენიმე სამხედრო სამოსი და ხატი აღმოჩნდა.

სამოსი ძალიან იყო დაზიანებული. 2013 წელს მის აღსადგენად საქველმოქმედო აქციაც ჩავატარეთ. შემოსული თანხა მხოლოდ ერთერთი სამოსის აღდგენას ეყო.

ამის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ვთხოვეთ, გაეღო თანხა. დაპირება მივიღეთ, მაგრამ... ხანგრძლივი და დამღლელი ბიუროკრატია, მიწერ-მოწერები და შეხვედრა-დახვედრები, გადარეკვა-გადმორეკვები და კი-კის ძახილები. გადიოდა თვეები...

ახლახან მოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ ამდენი დრო გამოხდა და ისევ ვერ მოხერხდა 7 ათასი ლარის გამოყოფა. არ ვიცი, თანხა ვერ გამონახეს, დაფინანსების მექანიზმი ვერ მოძებნეს, ვერ მოიცალეს, არ აინტერესებთ თუ ყველაფერი ერთად.

ეს აღშფოთება არ ეკუთვნის რამდენიმე ადამიანს, რომელთა მოწადინების შემსწრე თავად ვიყავი და რომელთა გვარებს საგანგებოდ არ ვასახელებ.

ეს აღშფოთება ეკუთვნის გულში მჯიღის მობრაგუნე და უსუსურ სახელმწიფოს, რომელსაც წლების განმავლობაში 7.000 ლარი ვერ გამოუყვია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოს, გენერალ გიორგი კვინიტაძის სამხედრო სამოსის აღსადგენად!

სხვათა შორის, გარდა იმისა, რომ ეს გენერალ კვინიტაძის სამხედრო ღირსების სიმბოლოა, ამავდროულად, გახლავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროიდან გადარჩენილი ერთადერთი სამხედრო სამოსი.

ბედნიერი ვიქნები, თუ ამ განცხადების შემდეგ უცებ „აღმოჩნდება“, რომ აი, სწორედ ახლა აპირებდნენ თანხის გამოყოფას.

# სტეფანე მღებრიშვილი: „ვერთვები ბრძოლაში!“



მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი თავისი სახლის წინ, თბილისის უძველეს უბანში, 13-სართულიანი სახლის მშენებლობას აპროტესტებს. როგორც მომღერალი ამბობს, ეს იქნება ერთადერთი მაღალსართულიანი კორპუსი მის უბანში:

– თურმე ადრე თუ აიღეს მშენებლობის ნებართვა... შეიძლება! 1900 წლიდან ეს სახლი გვეკუთვნის ჩვენ. უძველეს უბანში ვცხოვრობ. ზუსტად სახლის წინ მიდგამენ 11-13-სართულიან უმახინჯეს კორპუსს! ხვალიდან ვერთვები ბრძოლაში! თუ ვინმე კიდევ კომპეტენტურები ხართ, შემეხმიანეთ! რაც შეეხება მანქანებს, სხვაგან ვერ აჩერებენ და მხოლოდ ჩემს ფანჯარასთან შეუძლიათ... დილიდან ღამემდე ამდენი გამონაბოლქვი!

**პ.ს.** ეს კორპუსი ერთადერთი იქნება ამ უბანში. არანაირი პირობები ისედაც არ არის ბავშვებისთვის, არც ეზო, არც ბაღი... ნეტა ნარმანია სად რგავს მილიონ ხეს?!

# „სამეფო ნაციონალურმა ბალეტმა“ ახალი პროგრამა წარმოადგინა




ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სამეფო ნაციონალურმა ბალეტმა ახალი საკონცერტო პროგრამის პრემიერა წარმოადგინა.

დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და დამდგმელი ბალეტმეისტერია საქართველოს 2000 წლის საუკეთესო მოცეკვავე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გელა ფოცხიშვილი. დასის საპატიო ბალეტმეისტერია საქართველოს საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ხელოვნების ამაგდარი, საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენის კავალერი გელოდი ფოცხიშვილი.

„მსოფლიოს გარშემო“ – ასეთია ახალი პროგრამა, რომელიც აერთიანებს ქართულ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საცეკვაო მინიატურებს. იგი გადმოცემულია ქართული ტემპერამენტითა და ახლებური ხედვით. ამ ტიპის საცეკვაო წარმოდგენა არის პირველი პრეცედენტი ქართულ ქორეოგრაფიულ სივრცეში, რომელშიც გაერთიანებულია მთელი მსოფლიოს კულტურა ერთ კონცერტში. პროგრამაშია 4 ქართული ახალი საცეკვაო ნომერი.

წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობენ „სამეფო ნაციონალური ბალეტის“ პროფესიონალი მსახიობი-მოცეკვავეები, გაფორმებულია შთამბეჭდავი დეკორაციებით, ორიგინალური მუსიკითა და წამყვანი დიზაინერების მიერ შექმნილი კოსტიუმებით. მისი დადგმისას მოწვეული იყო რამდენიმე ქვეყნის წამყვანი სპეციალისტი, რომელთა კულტურაც ასახულია სცენაზე.

წარმოდგენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო პრესაში:

„ეს არის რადიკალურად განსხვავებული ქორეოგრაფიული კულტურა, განსხვავებული ხაზი საცეკვაო პლასტიკის, განსხვავებული ემოცია და გრაციოზულობა, რომელსაც „სამეფო ნაციონალური ბალეტის“ ქართველი მოცეკვავეები ქმნიან სცენაზე“, – ასე იწყებს სტატიას იტალიური ჟურნალი „თუტო დანზა“.

„ჩვენ გვინახავს მრავალი ქართული კოლექტივი საფრანგეთში, მაგრამ „სამეფო ნაციონალური ბალეტი“ საქართველოდან?! მათი ცეკვა უნიკალური მოვლენაა, რომელიც თქვენ ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ნახოთ! – ლე ფიგარო, საფრანგეთი.

# რუსთაველის თეატრი სეზონს პრემიერით დახურავს

რუსთაველის თეატრი 137-ე თეატრალურ სეზონს პრემიერით დახურავს.

თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება ბერტოლდ ბრეხტის „დაკანონებული უკანონობა“. ეს არის მხიარული არაკი ორ მოქმედებად და ეძღვნება ბერტოლდ ბრეხტის ხსოვნას.

ნაწარმოები გერმანულიდან ნათია მიქელაძემ თარგმნა, სცენური ვერსიის ავტორები რობერტ სტურუა, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე და ნინო კანტიძე არიან, დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუაა, რეჟისორი – ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, კომპოზიტორი – გია ყანჩელი, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე კი – მარინა ამაღლობელი.

სპექტაკლში გამოყენებულია ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, ვერდის, ვაგნერის, შოპენის, ლისტისა და შუბერტის მუსიკა. საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ ზვიად პაპუაშვილი, დავით გოცირიძე, ბექა სონღულაშვილი, დავით დარჩია, ნიკა ქაცარიძე, ეკა მინდიაშვილი, ქეთი სვანიძე, გეგა ჩხაიძე, ლაშა ჯუხარაშვილი, ზაზა ბარათაშვილი, ედმონდ მინაშვილი და ანდრია თავბერიძე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## სევდიანი ხმა

*„ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ,*
*შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი“.*

*თინათინ მღვდლიაშვილი*

ქართული პოეზიის მშვენებას, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პოეტს, მუხთალმა ბედისწერამ არ აკმარა დაფლეთილი საქართველოს დარდი და ტკივილი. გამწარებული მისტირის უსაყვარლეს დისშვილს – **ჯეკო მჭედლიშვილს,** რაჭიდან მომავალი ღამის წყვდიადში რიონში რომ გადაჩეხილა.

ჯეკოს სული რიონის პირთან მონაქროლმა ნიავმა საუფლოსკენ გაიტაცა.

მონატრებით ავკრიფე ტელეფონის ნომერი, სევდიანი ხმა გამიკვირდა... თავზარდამცემმა ამბავმა ისე დამაბნია, სიტყვა ვერ ვპოვე სანუგეშებლად. სოციალურ ქსელში დადებულმა ცრემლდანამულმა ლექსმა კი მით უფრო ამაფორიაქა და ამატირა... რა კალამი აღწერს განცდას.

უფლისათვის მიმინდვია, ჩემო თინათინ, შენი დაჭრილი გულის დაამება.

შენ სჭირდები საქართველოს...

მოზღვავებული ტკივილით ვითავისებ ცრემლშეუშრობელი დედისა და დეიდის განსაცდელს.

*პოეტი — ნანა დარჩიაშვილი*

შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას სიმამრის

**რევაზ ჭანტურიას**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 24 ივნისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 "ევრო – 2016" 16.45 "ეპოქის ფრაგმენტი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.00 "კომუნიკატორი" 19.30 მხ/ფ მხ/ფ "**დიდი ვალდო პეპერი**" (რ. რედფორდი) 21.30 თოქ – შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 მხ/ფ "**რეი**" (ჯ.ფოკსი) 01.40 მხ/ფ "**თაფლაკვერის კაცუნა**" 03.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში"

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30, 21.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**სინოპტიკოსი**" 01.25 მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო**" 03.25 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 2.55 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 0.00 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 1.00 მხ/ფ

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "უინძორების სასახლე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 მოკ. მხ/ფ "**ბავშვები**" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კიპარისი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 4 16.00 ღვთის სახლი 17.15 მიწათმოქმედი "კახური ღვინო" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ფიროსმანი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ოძრახისის სამკვიდრო უდე, არალი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძ." 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ბერძენი ქალი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 2.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 3.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ქალბატონი**" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.35 სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" 23.30 მხ/ფ "**მეფეთა მკვლელი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.224 | ევრო — 2.5111 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2651 | 100 რუსული რუბლი — 3.475 |

## ამინდის პროგნოზი 24 ივნისისთვის





## 24 ივნისიდან

გიორგი ლეონიძე

**ნატვრის ხე**




მაგარი ყდა,
252 ილუსტრირებული ფერადი გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## იუმორი



სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეუბნება:

– ძვირფასო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი!

– ცუდი რომელია?

– ცუდი ისაა, რომ მთელი შენი ფული დავხარჯე.

– და კარგი რომელიღაა?

– მიუხედავად იმისა, რომ უკვე ღატაკი ხარ, მაინც მიყვარხარ!

•••

დიალოგი საკანში:

– აუ, მთელი ტანი მეფხანება!

მეორე პატიმარი ეკითხება:

– რამდენი გაქვს მისჯილი?

– შვიდი წელი!

– ჰოდა, რა გაქვს მეტი საქმე? იჯექი და იფხანე!..

•••

თბილისში ნათესავთან სტუმრად ჩამოსულ ქალს მასპინძელი ეუბნება:

– ნაბეღლავი დალიე, არ გინდა?

– არა, მაი გაზიანია.

– მერე?

– მბერავს და მერე ჩემი ქმარი ეჭვიანობს.

•••

ქეიფის მერე გარეთ გამოსული სტუმარი ხედავს, რომ მასპინძელი ეზოში ხეს ეხუტება და ეუბნება:

– ეგე, ხომ დაგათვრე!

– რა დამათვრე, ეს ხე მიყვარს.

– რატომ?

– ჩემმა სიდედრმა ამ ხეზე ჩამოიხრჩო თავი და მა არ უნდა მიყვარდეს?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, მანქანა რომ მოგპარეს, პოლიციას რატომ არატყობინებ?

– ველოდები, მანქანას როდის გადაღებავენ.

•••

სოფლელმა თბილისელი მეგობარი რთველში დაპატიჟა. სტუმარი ხედავს, მასპინძლები ყურძნის საკრეფად ემზადებიან, მაგრამ ვენახი ვერსად შენიშნა და მეგობარს ეკითხება:

– კი მაგრამ, ვენახი სად არის?

– აგერ, ხეზეა და იქიდან უნდა ჩამოვკრიფოთ.

თბილისელმა ხეს ახედა და მეგობარს ეუბნება:

– აუ, ამას რა ჩამოკრეფს, ტო, მოდი, ხე მოვჭრათ და ადვილად დავკრეფთ.

– რას ამბობ, ძამა, მომავალ წელს რაღა დავკრიფო.

– მოიტა, ახლა მოვჭრათ და მომავალ წელს ჩემდათავად აქ ჩამომსვლელისაც!..

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 23 ივნისიდან

**კაცი, რომელიც იცინის**

ვიქტორ ჰიუგო

პირველი ნაწილი




მაგარი ყდა, 358 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 22 ივნისიდან




ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი)

**ტრაპიზონის იმპერიის დაარსება**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## ჯეიმი ვარდიმ ლესტერთან ახალი კონტრაქტი გააფორმა



ჭორები იმის შესახებ, რომ ლესტერის მთავარი ვარსკვლავი ჯეიმი ვარდი არსენალში გადავიდოდა, ტყუილი აღმოჩნდა. ივნისის დასაწყისში ინგლისური პრესა აქტიურად საუბრობდა იმის შესახებ, რომ ვარდი არსენალს შეუთანხმდა და უახლოეს დღეებში მათთან კონტრაქტსაც მოაწერდა ხელს. თვითონ ფეხბურთელი ამაზე კომენტარს არ აკეთებდა და ამბობდა, რომ ყველაფერი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გახდებოდა ნათელი. როგორც ჩანს, ვარდიმ გადაწყვეტილება უფრო ადრე მიიღო და ლესტერთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ის ამ გუნდის ღირსებას კიდევ 4 წლის განმავლობაში დაიცავს. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში ვარდიმ ინგლისის ჩემპიონატში 24 გოლი გაიტანა და ლესტერის ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო.

## ანტუან გრიზმანი ატლეტიკოში რჩება



მადრიდის ატლეტიკოს ფრანგი ფორვარდი ანტუან გრიზმანი სამუშაო ადგილის შეცვლას არ აპირებს და უახლოეს დღეებში ის ატლეტიკოსთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს. ახალი კონტრაქტის თანახმად, გრიზმანი ატლეტიკოში 2021 წლამდე დარჩება. გრიზმანმა შარშან ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა, რის გამოც მან ბევრი საფეხბურთო გრანდის ყურადღებაც დაიმსახურა. მანჩესტერ იუნაიტედი მზად იყო, 80 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ გრიზმანმა ყველაფერს ისევ ატლეტიკო არჩია, სადაც ის 2014 წლიდან თამაშობს. მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ ის გრიზმანზე დიდ იმედებს ამყარებს და ფრანგი ფეხბურთელი მისი გუნდის ნამდვილი ლიდერია.

## კრიშტიანო რონალდუ კარიერას რეალში დაასრულებს



რეალის პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ საფეხბურთო კარიერას 35 წლის ასაკში დაასრულებს და ეს მადრიდის რეალში მოხდება. რონალდუმ განაცხადა, რომ რეალში ის თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს და სხვა კლუბში გადასვლას არ აპირებს. კრიშტიანო რეალში 2009 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის სამეფო გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. რონალდუმ რეალში ყოფნის დროს უამრავი რეკორდი დაამყარა და ორი ჩემპიონთა ლიგა მოიგო. რონალდუს გადაბირება ფრანგულ პსჟ-ს სურდა, რომელიც ამ ტრანსფერში 200 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ ფრანგებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

## ჯერომ ბოატენგი სლოვაკეთთან ითამაშებს

გერმანიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ჯერომ ბოატენგმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო, რის გამოც მოედანი დროზე ადრე დატოვა. იყო საშიშროება, რომ ბოატენგი მერვედფინალურ შეხვედრას სლოვაკეთის წინააღმდეგ გამოტოვებდა, მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, ეს ასე არ მოხდება. ბოატენგმა განაცხადა, რომ გერმანელი ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ტრავმა მოიშუშოს და მათი მადლიერია. სლოვაკეთს გერმანია კვირას დაუპირისპირდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში მეოთხედფინალში გერმანელებს იტალიის ან ესპანეთის ნაკრებთან მოუწევთ შეხვედრა.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ექვსი წლის გოგონამ პრინც ჰარის ცოლობა შესთავაზა

ექვსი წლის გოგონამ, სახელად ლოტიმ, ბრიტანეთის პრინც ჰარის მასზე დაქორწინება შესთავაზა. ამ ინფორმაციას ჰელო მეგეზინი ავრცელებს.

ეს პრინცის მანჩესტერში ვიზიტის დროს მოხდა, სადაც მან მონაწილეობა მიიღო სპორტის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

– მე მინდა, ცოლად გამოგყვე. მინდა, რომ პრინცესა გავხდე, – განუცხადა ლოტიმ უელსის პრინცს.

დედოფალ ელისაბედ II-ის შვილიშვილმა სწრაფადვე მოიფიქრა პასუხი და პატარა ლოტის უთხრა:

– შენ ეს არ გინდა, მეტისმეტად დიდი განსხვავებაა ასაკში. შენ მეტისმეტად ბევრ წიგნს კითხულობ.

ასევე პრინცმა იქ შეკრებილ ბავშვებთან რაგბი ითამაშა და რამდენიმე ილეთი უჩვენა.



გარდა ამისა, ჰარიმ ყურადღება მიაქცია მასავით წითურთმიან გოგონა მეისის.

– შენ მშვენიერი და მეტად სიმპათიური ხარ. თავს მხიარულად გრძნობ? – ჰკითხა გოგონას პრინცმა.

## უმა თურმანი ცხენიდან ჩამოვარდა და დაშავდა



ამერიკელმა მსახიობმა უმა თურმანმა ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ რამდენიმე ძვალი მოიტეხა. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, აღნიშნული ინციდენტი კვირის დასაწყისში მოხდა. კონკრეტულად რა დაზიანებები მიიღო მსახიობმა, უცნობია.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, მსახიობი საფრანგეთის კუნძულ სან-ბარტელემიზე შვილებთან ერთად ნახეს. თვითმხილველთა თქმით, თურმანი დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებდა და ისე გამოიყურებოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც თეძოს ოპერაცია ჰქონდა გადატანილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი; 5. შეიარაღებული მძარცველი; 8. უდაბნო ჩინეთსა და მონღოლეთში; 9. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. საშობაო სიმღერა; 15. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-წარმოდგენა; 6. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 7. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა; 10. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 11. ბევრი, მომაბეზრებელი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 13. ნახევრად ძვირფასი ქვა, კვარცისნაირსახეობა; 14. ალალბედზე მოქმედება; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი